13

# ცისკარი.

1869

იანვარი.

წელიწადი მეცამეტე.

წოდება თხზულებათა:


1. — შეერთება საქართველოსი რუსეთთან (შემდეგ გიორგი მეფის გარდაცვალებისა რის გზით შეიერთა რუსეთმა საქართველო. ამ საქმეში განსაკუთრებითი მოქმედება იმპერატორის პავლესი.—ტფილისში ელჩების მოსვლა.—ბასკი თავადიშვილებისა, ხალხისა და ხელახლად გაგზავნა პეტერბურღში ელჩებისა.—საქართველოს უწესოებაები.—დროებით სამეფოს გამგებლობა დავით ბატონიშვილისაგან.—მეფის ირაკლის შვილების იმერეთში წასვლა. თ. ლეონიდ პარათაშვლისა.

2 — .მოჯადოებული პრინცი. (კომედია.) ივ კერესელიძისა.

3. — სიმართლე (ლექსი.)

4. — „დროების“ გაზეთი და იმისი სიტყვიერება. კუდაბზიკაძესი.

5. — წიგნი მოწერილი რედაქტორთან, ნესტან დარეჯანის გამდლის ასმათისაგან.


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი.

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემის ივ. კერესელიძისა-გან.

იანვარი.

წელიწადი მეცამეტე.

„თუ შეიყვარო სმენად, — მიითვალე, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, — ბრძენ იქმნე» (წიგ. ისო ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1869

## შეერთება საქართველოსი რუსეთთან.

---

შემდეგ გიორგი მეფის გარდაცვალებისა რის გზით შეიერთა რუსეთმა საქართველო. ამ საქმეში განსაკუთრებითი მოქმედება იმპერატორის პავლესი.— ტფილისში ელჩების მოსვლა,— ბასსი თავადის-შვილებისა, ხალხისა და სჳლასლად გაგზავნა პეტერბურღში ელჩებისა. — საქართველოს უწე-ხოებაები. — დროებით სამეფოს განგებლობა დავით ბატონის-შვილისაგან.— მეფის ირაკლის შვილების იმერეთში წასვლა.

რუსეთიდამ დაბრუნებული ტფილისს საქართველოს ელჩები კავკაზიის ლინიაზედ რომ მოვიდნენ, გიორგი მეფე ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ესე იგი: 25 დეკემბერს კნორინგმა მეორეს დღესვე გაამგზავრა, მაგრამ გზიდგან დაბრუნდნენ და მოზდოკს მოვიდნენ.

ისინი ლარსში რომ მისულიყვნენ, იქ შეეტყოთ ვახტანგ ბატონის შვილმა, რომელიცა დუშეთში სცხოვრებდა, რა მეფის გარდაცვალება შეიტყო გზა შეუკრაო გამვლელსა და გამომვლელს ალარავის უშვებსო, გარდა რუსის კურიერებისაო და ელჩებისაო, ეს გზის შეკვრა ვითომ დავით ბატონი შვილის ბრძანებით იყო, თითონ კი თავისს სახელს მალამდა და ვახტანგ ბატონის შვილს აბრალებდ

ამასაც ამბობდნენ, ვითომ იმას ებრძანებინა მთიულებისათვისა, რომელნიც იმ გზაზედ დგანან და ვახტანგ ბატონის-შვილის უწყებას ქვეშ იყვნენ, რომ ვინც ქართველმა გაიაროს დაიჭირეთო და რომ მთიულებისათვის სიმხნევე მიეცა ამ საქმეშია, ნება მისცა რომ ის გამვლელ-გამომვლელი ეცარცვათ და ნაცარცვი თავიანთვის ენახათ.

კნორინლმა მაშინვე კაცი გამოუგზავნა ვახტანგ-ბატონის შვილსა შესატყობად: მართალი იყო თუ არა ეს ამბები და კიდევ რომ თავადნი ავალისშვილი და ფალავანდისშვილი მხედრობით გაეგზავნა ტფილისში, რადგან რომ იმპერატორის პავლეს ნებით მიდიოდნენ.

რადგან ვახტანგ ბატონისშვილისაგან პასუხი არ მოუვიდა, მაშინ კნორინლმა თითონ მოახდინა განკარგულება ელჩების გასაგზავნათა, თან ასი ყაზახი გამოატანა და ლაზარევსაც შემოუთვალა დუშეთში, ან უფრო აქეთ ერთ როტა ჯარი იეგირებისა და 50 ყაზახი მოაგებეო ელჩებს ტფილისში მისაყვანათაო.

ვახტანგ ბატონისშვილმა ავალისშვილის კაცი, რომელიც გამოგზავნილი იყო ლორისიდამ ლაზარევთან ბრძანების ქაღალდითა, რომ იმ ელჩებისათვს ჯარი მოეშველებინა, დუშეთში დაიჭირა და ციხეში დაატუსაღა. დუშეთს რომ მიახლოვდნენ მაშინ ავალისშვილმა თავისის ერთგულის კაცისაგან გაფრთხილება მიიღო და დაუჯერა კიდეცა, იმაზედ რომ ისინი დუშეთში არ ჩამომხდარიყვნენ და არც

დამდგარიყვნენ. რომ მოვიდა დუშეთში ვახტანგ ბატონიშვილმა რამდენჯერმე პატიჟი დაუწყო: ჩემს სახლში მობძანდიო; მაგრამ ანიშნეს რომ საეჭვო არის აქ ყოფნაო და ურჩიეს დუშეთიდამ ჩქარა წასვლა.

მაშინ, როდესაც კნორინგმა იმპერატორს მოახსენა გიორგი მეფის გარდაცვალება, იმის მეორეს დღეს მიიღო მანიფესტი 18 დეკემბერს დაწერილი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. რომ წაიკითხა კნორინგმა იმპერატორის პავლეს მანიფესტი და რესკრიპტი, გაშტერებული დარჩა და არ იცოდა რა ექნა.

როგორც მანიფესტის წერილიდამ სჩანდა, ის მაშინ უნდა სახალხოდ გამოცხადებული იყო, როცა ამ ელჩებს მეფისაგან და ხალხისაგანაც მიეღოთ დასამტკიცები თავიანთის სურვილისა რომ რუსეთის ქვეშევრდომებში ყოფილიყვნენ და იმ გრამატებით ელჩები ტფილისიდამ პეტერბურღს წასულიყვნენ.

ამისის მიზეზით კნორინგმა ვერ გაბედა მანიფესტის გამოცხადება, და 5-ს დეკემბერს 1801 წ. მისწერა ხელმწიფე იმპერატორს „ვიცი რომ მაგ საქმეს თავისის წინადადებით ჯერ ბოლო არ დასრულებია და საქართველოს ხალხსაც შესმენილი არა აქვსთ თქვენის იმპერატორების სრული მონება, რომ მიიღეთ ისინი სრულიად რუსეთის იმპერიის წეს ქვეშა.

მანიფესტის გამოცხადების დაგვიანებამ ცუდათ მოიყვანა

სამეფოს მდგომარება.

თავადნი და აზნაურნი ორს მხარეთ გაიყვნენ, ერთი მხარი მათგანი დიდის სურვილით ელოდა იმასა, რომ რუსეთის მთავრობა დაწყობილიყო; მეორესკი ისა სურდა, რომ ისევ, თავიანთი მეფე ჰყოლოდათ, ასე რომ ის მეფე სრული რუსეთის უფლებას ქვეშ ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში ემეფნა ქართულის კანონებით, რჯულით და ჩვეულებით. ყველას ამ უკანასკნელს მხარის პირთ თითო რომელიმე ბატონიშვილი ჰყვანდათ თავიანთვის ამორჩეული, არა თუ იმისათვის რომ ღირსათ ხედავდნენ იმასა, მხოლოდ იმისათვის, რომ იმას ის მოსწონდა. ასრე დაუწერია თავადს ჭავჭავაძეს თავისს ქაღალდში, ხელმწიფე იმპერატორისათვის **1836** წ. მართმეულში.

ბატონიშვილებმა რომ ნახეს ამ გვარი მდგომარეობა, იმათ თავიანთი ერთმანერთში წინააღმდეგობა უფრო გააცხოველეს.

**20** დეკემბერს **1800** წ. იულონმა, ვახტანგმა და მირიან ბატონიშვილებმა გაგზავნეს ქართლში და კახეთში წერილები საღმრთო და საეროს ხალხთანა, რომლითაც იმას აგონებდნენ რა სახით დაემორჩილნენ და თანახმანი გახდნენ გიორგი მეფის აღრჩევაზედ და მეფედ დამტკიცებაზედ, რა სახით მოექცა მერე იმათ განსვენებული მეფე. როგორ შეაწუხა იმან ან დედოფალი დარია და ან თითონ ბატონიშვილები. ამასთან იმას ცდილობდნენ რომ, ჩაეგონე-

ზინათ ხალხისათვის ირაკლი მეფის ზრუნვა; ამასთან რომ ის საქართველოს ხალხისა ყველას მამა იყო და არა მარტო ბატონიშვილებისა, ისიც გახსოვდეს, რომ ირაკლის ანდერძით მეფობა უფროსის ძმისა უნდა იყოს.

„გირჩევთ თქვენ—მისწერეს ბატონიშვილებმა — მაგრად იდგეთ იმაზედ, რაც დაადგინა მამა ჩვენმა. ეხლა ისეთი დრო არის, როდესაც თქვენ უნდა გვიჩვენოთ სრული ერთგულება და მორჩილება. თუ ვინიცობაა გირჩიოსთ ვინმე რამ ჩვენი წინააღმდეგი ანუ დაგიბაროსთ თანა ნუ გაუგონებთ...“

ვახტანგ ბატონიშვილისაგან გაგზავნილმა კნორინგს გამოუცხადა, რომ განსვენებულის მეფის ძმები ნებას არ მისცემენ დავითს მეფობისასაო და იმას ისურვებენ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში იყვნენო.

30 დეკემბერს დავით ბატონიშვილმა მისცა ღენერალ-მაიორს ლაზარევს წიგნი, რომელზედაც ხელი ეწერათ ოცდა ორს თავადიშვილებსა და ნეკრესის მიტროპოლიტსა. იმ წიგნში იყო გამოცხადებული ხელახლად სურვილი რომ დავით ბატონიშვილი სურდათ მთელს კახეთს მეფეთა, მეტადრე იმიტომ რომ ის იმპერატორის პავლესაგან დამტკიცებული იყო მემკვიდრეთა. ამასთან იმას ამბობდნენ ეს ხელის მომწერნი, რომ იმათ არც ერთი მეფის ძმა არა სურდათ მეფეთა, რადგან რომ იმათ უნდოდათ საქართველოს მიცემა ბაბახანის მფარველობისათვისა და ომარხანსაც

შემწეობას აძლევდნენ რომ საქართველოს დასცემოდა.

დავით ბატონიშვილმა ამ გვარათ რომ დაითანხმავა რამდენიმე თავადიშვილები. დანარჩენთ უბძანა რომ ხლებოდნენ იმას, როგორც კანონიერს მემკვიდრეს. მრავალთ დაჰპირდა და კიდეც გამოუცხადა ახალი მოხელეობა და თანამდებობაები, თეიმურაზს ბატონიშვილსკი უბრძანა, რომ ხალხი დაეფიცებინა. ახლა მეორეს მხრით, სამღვდელონი ქართლში იულონს ახსენიებდნენ როგორც მეფესა და თორმეტის ქართლის თავადიშვილის ხელმოწერილი ქაღალდი მოვიდა ტფილისში, რომელშიაც სწერდნენ, რომ ჩვენ იულონისათვის დავიფიცეთო და თქვენცა გთხოვთ, რომ იმისათვისვე დაიფიცოთო.

„ჩვენ მოგწერეთ თქვენ ეს წიგნი, ეწერა ამ სახით, ვინც რომ პირველითა ნახოს და [illegible] და იმათ არ გამოუჩინოს ვისთანაც მიწერილი არის, ის იყოს განშორებული ყოვლად წმიდის სამებისაგან და წყეული სულითა და ხორცითა.“

ბატონიშვილებმა, რომ შეატყობინეს ქალაქს გორში მეფის ირაკლის ანდერძით მეფობა იულონს ერგებაო და ამაზედ იმპერატორს პავლესაც მივწერეთო, მერე ზოგი მუქარითა და ზოგი ხვეწნით ქართველებს სთხოვდნენ რომ იმათთან თანხმანი შექმნილიყვნენ.

ვახტანგ და მირიან ბატონიშვილებმა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე დაითანხმავეს იმაზედ, რომ იმპერატორს

პავლესთან წიგნი მიაწერინეს რომ იულონისათჳს მიეცა საქართველოს მეფობა. ეს წიგნი მოუვიდა კნორინგსა და იმან გაგზავნა პეტერბურღში.

ბაგრატ ბატონის შვილმა გამოუცხადა ხალხსა, რომ ჩემი ძმა დავით გამეფდაო და ხალხს ძალათ აფიცებდა, და განსვენებულის მეფის ძმები კი ჯარს აგროვებდნენ რომ ქალაქს გორს დასცემოდნენ.

„თქვენ იცით — მისწერა თეიმურაზ ბატონის შვილმა 18 იანვარს 1801 წ. ამილახვარს — რომ ხელმწიფემ მეფობა დავითს უბოძა, მაგრამ ქართლელებს კი უნდათ რომ ხელმწიფის ბრძანებას გადვიდნენ. ქართლელებში პირველი შენა ხარ. თქვენ ვინ მოგითმენსთ, რომ იულონისათჳს ხელწერილი რომ მიგიციათ, ორი ბეჭედი დაგისვამთ, თუ ეხლავ არ შეინანებ მაშ ხელმწიფის წინააღმდეგი იქმნები, თუ ეხლავ შენს თავს არ გაასწორებ, მაშ ხელმწიფის მუხანათი შეიქმნები. როგორ ჰბედავ რომ ხელმწიფისაგან დადგენილს მეფეს უარსა ჰყოფ? შენ კარგათ იცი რომ დავით ხელმწიფემ დაამტკიცა მეფეთ და ამ ქვეყანაში დავითის ორგული ვერ იდგომლებს თუ რუსეთში წახვალ, იქ შენ ხელმწიფე დაგსჯის როგორც მუხანათს; თუ რომ იმერეთში იქაც არ შეგიძლიან ყოფნა; თუ რომ ოსმალოში, იქ თუ შენ არა, შენს შვილებს მაინც გაათათრებენ. რასთჳს იწუხებ მაგსახით შენს თავსა?“

ამ არეულობის ჟამს, საქართველოს ელჩები: თავადნი

ფალავანდის შვილი და ავალისშვილი, ტფილისს უახლოვდებოდნენ. 5 იანვარს სოფელს კობში მოვიდნენ, 70 ვერსტი არის ტფილისამდისინ, და 8 იანვარს შემოვიდნენ საქართველოს სამეფო ქალაქში, სადაც ამ დროს ლაზარევი ყოვლის ღონის ძიებით ხალხის დამშვიდებასა ცდილობდა.

ქუჩებში შეყრა და მოგროება ხალხისა ქართველებს აუკრძალეს და რასაც ჭირს მოიგონებდნენ ხოლმე, სახალხოთ უნდა გამოეცხადებინათ რომ ტყუილი არისო. ვინც რომ ამისი წინააღმდეგი შექნებოდა და წესს მოშლიდა, იმათ ატუსაღებდნენ ვინც რა ჩამომავლობისაც უნდა ყოფილიყო.

კნორინლმა რომ ნახა ლაზარევის მოხსენებაებიდამ, რომ ვახტანგ ბატონისშვილი ერთი მათგანი იყო, რომელნიც ხალხს ურჩევდნენ, 18 იანვარს 1801 წ. საიდუმლოთ მოსწერა ლაზარევსა, რომ თუ კიდევ მაგ რიგათ მოქმედებდეს, დაატუსაღეთ, ამისათვის რომლისამე მიზეზით ასი ანუ რამდენიც საჭიროთა სცნათ კაცი გაგზავნოთ და დააჭერინოთო. ის ჯარი ყოვლის სიჩქარით უნდა წავიდეს და მივიდეს იქა, სადაცა სცხოვრებს ის ბატონისშვილი და უნდა დაიჭირონ ღამეო.

კნორინლმა ამ გვარი მოქმედება რომ გაბედა, თან იმისი ეშინოდა რომ მომიჯნავე ხალხი არ შესეოდნენ, რადგან საქართველოს უმეფოდ იგულებდნენ. თითონ უნდოდა წამოსვლა საქართველოში, მაგრამ ის უშლიდა რომ და-

ნარჩენი ჯარი ლინიაზედ საკმარი არ იქნებოდა და მიჯნებს ყაბარდოელების დაცემისაგან ვერ შეიმაგრებდნენ.

ის ჯარები რომ წამოეყვანა კნორინგსა საქართველოში, რომლებიც იმპერატორისაგან დანიშნული იყო, მაშინ ლინიაზედ დარჩებოდა მარტო ოთხი ბატალიონი მუშკატერისა, ორი გრენადერისა და ორიც ეგერისა ფლიგელ როტები და ესკადრონიც დრაგუნისა.

ამ ჯარს უნდა დაეცვა ლინია (სიგრძე) ყიზლარიდამ უსტლაბინის ციხემდისინ, 700 ვერსტის სავალი. ამ ჯარის სიცოტავემ და ლინიის სივრცემ ძალიან შეაწუხა კნორინგი, რომ განკარგულება მოეხდინა რამ. არ იცოდა წამოსულიყო საქართველოს თუ თავისს ბინაზედ დარჩენილიყო; გამოეცხადებინა მანიფესტი და მარტო ლაზარევისათვის მიენდო განგება თუ მოეცადნა ახალის ბრძანებისათჳს რუსეთის მართებლობისა და მანამდისინაც მანიფესტი დაფანტული ჰქონდა.

გიორგი მეფის სიკვდილმა დროებით დაშალა ზოგი ერთი რუსეთის მმართებლობის დაწყობილებაები საქართველოს შეერთებაზედა.

ასე იყო ნაანგარიშებელი, რომ ელჩები მოვიდოდნენ ტფილისში, გიორგი მეფე მოაწერდა ხელს ქვეშევრდომობის პირობაზედა, ხალხსაც გამოუცხადებდა, ახალს ელჩებს პეტერბურღში გაგზავნიდა, რუსეთის მმართებლობას ეგონა, და იმედიც ჰქონდა, რომ საქართველოს შეერთებ-

რუსთან ისევ გიორგი მეფის სიცოცხლეშივე მოხდებოდა და ამისათვის უბრძანა მმართებლობამ კნორინგსა, რომ მანიფესტი ჯერ არ გამოეცხადებინა. ეს წინადადება არ აღსრულდა. გიორგი გარდაიცვალა წინათ თავისის ელჩების ტფილისში დაბრუნებისა. რუსეთის მმართებლობის სურვილი, მასზედ, რომ გიორგის თითონ გამოეცხადებინა ხალხისათვის თავისი სურვილი, არ აღსრულდა. რაკი ამ გვარად დაიშალა, პეტერბურღის კაბინეტმა საჭიროთ სცნა, რომ მანიფესტი საჩქაროდ გამოცხადებულიყო.

პეტერბურღში, რომ გამოაცხადეს მანიფესტი, 18 იანვარს 1801 წ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, კნორინგი ამ შემთხვევამ გაჭირებიდამ გამოიყვანა.

პეტერბურღის კაბინეტი ისევ იმ აზრზედ დარჩა, სამეფოს შეერთებაზედ, რომელზედაც იდგა, თუმცა გიორგი მეფე გარდაიცვალა და სამეფოშიაც არეულობა მოხდა, მაგრამ პავლე იმპერატორი მაინცკი ელოდა, რომ პეტერბურღში საქართველოს ელჩები ან არჩეულნი კაცნი მოსულიყვნენ ხალხისაგანა და ბატონიშვილებისაგანა და უნდოდა რომ ისინი დიდის დიდებით თავისის თანა დასწრებით დაეფიცებინა.

პავლე პირველის სახელით გამოუცხადა ღრაფმა როსტოპჩინმა თავადს ჭავჭავაძეს, დარჩენილს პეტერბურლში, რომ იმპერატორი თავისის მოწყალებით ახალს ქვეშევრდომთ უპიშნავს უფროსს მეფის სახლობისას განგებ-

ლად საქართველოსა, რომელსაც უწოდებს სახელად მოადგილესა ანუ მეფობისას, და ამ პირობით, რომ ყოველთვის ერთი უმაღლესი პირი რუსეთისა იყოს იმასთან. საქართველოში გაიმართება უმაღლესი სამჯავრო, რომელსაც ერქმევა შეკრებილება განმზრახთა ანუ ნაწილი სენატისაო; გარდა ამისა იქნება იქ გამართული მდაბალი სასამართლოებიცა და ყოველის ამის გასამართათ საქართველოში იქნება ტაინის სოვეტნიკი ლაშქარევი.

გრაფმა როსტოპჩინმა 19 იანვარს 1801 წ. მოსწერა კნორინგსა, დააშურეთ ტფილისიდამ ამორჩეულთ პირთ გამოგზავნა პეტერიურღშიაო.

იმპერატორი პავლე პირველში უარზედ იდგა და შემდეგში ღოსუდარსტვენნის სოვეტმა რომ დაითანხმაა, ასეთის მეცადინეობითა და სურვილით შეუდგა საქართველოს რუსეთთან შეერთებასა რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ეს საქმე იყო იმისათვის სასიამოვნო საფიქრებელი. კნიაზი კურიაკინი პავლეს საწოლში და იმის სტოლზედ არდგენდა ცერემონიას საქართველოს ელჩების მიღებისას, წინა დღეს იმისის გარდაცვალებისას, 10 მარტს 1807 წ.

იმპერატორს სურდა რომ თავისს ახალის ქვეშევრდომის ხალხისათვს ესიამოვნებინა, თუმცა ჩვეულება ჰქონდა წმინდა საიდუმლოს ენებათ კვირაში მიეღო ხოლმე, მაგრამ ამ უკანასკნელს წელიწადს თვისს ხელმწიფობისას ჯვრის თაყვანის ცემის კვირაში ეზიარა, იმისათვსა, როგორც ბძანა

თითონ, დროება ჰქონდა საქართველოს ქვეშევრდომობაში მიღებისა. ამ გამოჩენილი შემთხვევისათჳს სურდა შეეკერინებია და ჩაეცო ადრინდელის მზგავსად საქართველოს მეფეებისა, დალმატიკა (ბისონი.)

„ეს ტანისაცმელი ამბობს კოტლიუბიცკი, მოძებული ვიზანტიის იმპერატორთ გან ზოგიერთთა აღმოსავლეთის ეკკლესიის მღვდელთ მთავართათჳს ნიშნად მოწყალებისა, შემდეგში შეიქმნა შესამოსლად ჯერ არხიეპისკოპოზებისათვის მერე ეპისკოპოზებისათჳსაც, თაემდაბლურის სახელით „ბისონი."

„ამის მიზეზით დაიწყეს ლაპარაკი, რომ იმპერატორს სურსო ღვდელმსახურებაო და ამისათჳს მღვდელმთავრის შესამოსს აკერეინებსო...

პეტერბურში რომ საქართველოს ელჩებს დააფიცებდნენ საქართველოშიაც ხალხს იმ გვარათვე უნდა დაეფიცნათ და ეს კნორინგს უნდა აღესრულებინა.

„მე მსურს, მოსწერა იმპერატორმა პაველმა კნორინგს 20 იანვარს 1801 წ. რომ საქართველო ღუბერნიათ იყოს, ამისათჳს ესლავე მიწერმოწერა გაუჩინეთ სენატთან და სასულიერო ნაწილს სინოდთან, ნუ შეეხებით იმათს უფლებას. ღუბერნატორათ იყოს ვინმე მეფის ჩამომავლობისა და თქვენს ხელქვემოთ, და იყოს შეფად ღუსარის მანდაურის ახალის პოლკისა."

„მე მსურს ქართველებმა, მოსწერა იმპერატორმა მეორეს

რესკრიპტში ქვეშევრდომობის გამო მიიღონ ფიცი, მაშინ იწყეთ შეკრება ქართველთაგან ერთის ღუსარის პოლკისა და მეფათაც იმისი წარმომიდგინეთ ერთი რომელიმე ბატონის-შვილთაგანი, რომელიც უფრო ღირსი იყოს ამისი და იმას მივიღებ სამსახურში ღენერალ მაიორის ჩინითა და იმისას სახელს ვუწოდებ.

კნორინღმა მიიღო ბრძანება 20 იანვარს 1801 წ. გამოეცხადებინა ალექსანდრე ბატონისშვილისათვისა, რომ იმპერატორი ყოველს იმის ადრინდელს წინააღმდეგს მოქმედებას ივიწყებსო, თუ რომ ისიც თავისს ფარულს მოქმედებას დაიშლისო და რუსეთში წამოვაო, რადგან სულ ერთიან საქართველოს მეფის სახლეულობა იქ იყვნენ დაბარებულნი, დასამტკიცებელად იმისა რომ საქართველოში ყოველს საზოგადოებასა სურდა რუსეთის ქვეშევრდომობა, და არა რომ იმათი მორჩილება ყოფილიყო შემდგარი ორისა ანუ სამის სურვილითა.

დავით ბატონისშვილმა პირდაპირ მიიღო იმპერატორის წიგნი, 18 იანვარს 1801 წ. დაწერილი ნიშნად ყურადღებისა თვთ იმაზედ და საქართველოზედაცა.

19 იანვარს 1801 წ. ღრაფმა როსტოპჩინმა მოსწერა დავით ბატონისშვლს წიგნი, რომლითაცა სთხოვდა ჰქონოდა სიყვარული და თანხმობა მეფის სახლეულებაში და დაეშურებინა პეტერბურღში ელჩების გაგზავნა, საქმის მალე გასათავებელადა, რომელიც ღრაფის სიტყვით იყო

ღუთის სასურველი და თქვენთჳს სასიამოვნო.

რუსეთის მმართებლობას და მისს უმთავრესობაშიაც იმპერატორს პავლეს 1-ს ძალიან შორს ეჭირა იმ გვარი რამ აზრი, რომელიც ყოფილიყო რამ ძალის დატანებითა.

„ეცადეთ, სწერია რესკრიპტში კნორინღთანა 20 იანვარს 1801 წ. საქართველო დაამტკიცოთ იმ გვარად, როგორც მწერლობა გაქუსთ; ნუ დაუწყებთ ძებნას სხვების შეძინებასა, გარდა იმათა, რომლითაც მოისურონ ჩემის საფარველის ქვეშე ყოფნა. სჯობს მოკავშირენი იყვნენ მოსურნენი მოკავშირეობისანი, მინამ ქვეშევრდომნი იყვნენ და უიმედონი ერთგულობაზედა. თქვენი მარცხენა მჴარე საიმედოვნო არის; ამისთანაებითა ოსმალები არ შეაშინოთ: მაშინ მარჯვენა მხარიც საიმედოვნო იქნება. სომხეთს დაუწყეთ ძებნა, რომ დაიახლოვოთ ვაჭრობა ვაჭრობისათჳს, რომ დასაბამი გქონდესთ მაგათან და იქათაც მათ შორის დაიცევ პატივისცემა, მაგრამ ჩვენი წესიკი დაადგინეთ. შეავსეთ პოლკები ჩვენის რეკრუტებითა, მაგრამ საკმაო არ არის პოლკები მაგ სიერცისა. ამ სათჳს იანგარიშეთ არ შეგიძლიანთ რომ შეავსოთ მაიდაურის ხალხითა და შემოსავლითა. მოძებნეთ ყოველიევე რიგი მადნები და სარჩოს პური. საბაჟოები გადიტანეთ მიჯნებზედა. ბრძოლით დაპყრობასა თავი დაანებეთ და დაიწყეთ ნებაყოფლობითი შეძინება. აი ჩემი ჰაზრები.“

იმპერატორი თითონ ეძებდა შემთხვევას და მიზეზსა რომ

ებოძებინა თავისის ახალის ქვეშევრდომის ხალხისათჳს ჯილდოები. უბრძანა კნორინლსა რომ წარედგინა სია, იმ პირთა, რომელთაც უმეტესათ სურდათ ქვეშევრდომობა მისი.

მათგან მრავალთათჳს სურდათ ებოძებინათ ღირსება ღრა-ფისა, ბარონისა, ზოგისათჳს კიდევ ორდენის წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა, სხვებისათჳს კიდევ კამერ-ღერის წოდება და სულერთიან ხალხი სამის წლით განთავისუფლე-ბინათ ხარჯისაგან. პაველ პირველი ფიქრობდა, რომ ამ გვარის მოქმედებით შეეყვარებინა თავისი თავი ქართველე-ბისათჳს.

მაგრამ კნორინლმა რომ ჰკითხა ამ საგანზედ ლაზარევსა, იმან **24** მარტს **1801** წ, უპასუხა, რაც მეეხება ჯვრებ-საო, ჩემის ჰაზრით თავადნი ეგნატე თუმანისშვილი, დარჩია ბებუთაშვილი და სოლომონ არღუთაშვილი-დოლგო-რუკოვი, ყველაზედ უმეტესად ღირსნი არიან მაგ ჯილ-დოსიო. აქაურნი აზნაურნი სულყველანი ემგზავსებიან ჩვენე-ბურ მდაბალს ანუ ცალმოგვს აზნაურს და ვინ უნდა აღი-ყვანოთ ღრაფისა და ბარონის ღირსებაშიო? ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ერთს ოჯახში ერთი ძმა რომ ჩვენი ერთგული არის, მეორე ჩვენ წინააღმდეგ მოჯანყეებში არის. ხელმწიფის კარზედ არავის არ შეუძლიანთ სამსახური ამისა-თჳს, რომ სწავლა ანუ ზდილობა არავის არ აქვსთ, ძნელი გასარჩევი არის აქაური ბატონის შვილი უბრალო გლეხ-

კაცშიო.

იმპერატორი არა სცდებოდა თავისის ჭაზრში. რაკი ელჩები მოვიდნენ ტფილისში, დაიწყეს ბაასობა, ყოველი საზოგადოების ხალხნი იყვნენ მიწეეულნი ამ საქმის საბაასოთ. თავადთ: ავალისშვილმა და ფალავანდისშვილმა და ლაზარევმა გაუგზავნეს წიგნები ბატონის შვილებსა: იულონს, ვახტანგს, მირიანს და ფარნაოზს, მოიწვიეს რომ მიეღოთ მონაწილეობა ამ საზოგადო საქმეში. იულონმა და ფარნაოზ ბატონისშვილებმა არამც თუ პასუხი არ მისცეს, თავადის შვილებსაცკი უშლიდნენ რომ ტფილისში ჩამოსულიყვნენ. ვახტანგმა და მირიან ბატონისშვილმა მოსწერეს, სიმორის გამო დანიშნულს ვადაზედ ვერ მოუსწრობთო, რომ ტფილისში მოვიდეთო და ამასთან ჩვენს უფროსს ძმას იულონს ვეკითხებითო, რასახით მოვიცქეთ ამ საქმეშიაო. შემდეგ ამისა სულერთიან გიორგი მეფის ძჱები შვიდასის დაიარაღებულის კაცებით შეიყარნენ მუხრანში საბაასოთა და იქ ასე დააწყეს: წასულიყვნენ კახეთში ქართლელები და კახელები დაეფიცებინათ და როგორც უჩვენებიათ 28 იანვარს 1801 წ. აზნაურს ოსებაშვილისა და მამაცა შვილსა — კიდეც აღასრულეს ამათ ესა. ბატონიშვილები ყოვლის გზით უმალავდნენ ხალხს ლაზარევისაგან გამოგზავნილს უმაღლესს ღრამატას. შტაფსკაპიტანი კოტლიარევსკი, რომელიც იყო ადიუტანტი ლაზარევისა და რომელმაცა ბატონიშვილებთა მოუტანა ღრამატა, არ ჰფარავდა თავისის მოსვლის მიზეზსა, იმ

უმაღლესის ღრამატის მიტანა შეიტყეს თავადიშვილებმა, რომლებიც ახლდნენ ბატონიშვილებსა, ასე რომ იმ თა ამალა ორ ნაწილად გაიყო; ზოგს თავადიშვილებს უნდოდათ ბატონიშვილებისათვის თავი დაენებებინათ, მაგრამ დასჯისა და მტრობისა ეშინოდათ და ამის მიზეზით თავიანთს ჰაზრს ჰფარავდნენ. ზოგნი მათგანნი კოტლირევსკისთან მოდიოდნენ; მაგრამ რაკი ლაპარაკს დაუწყებდა ხოლმე ისა, მაშინვე კაცი მოუვიდოდათ ხოლმე და ბატონიშვილებთან წაიყვანდნენ ხოლმე, ბატონიშვილები იმასა ცდილობდნენ რომ არავის ლაპარაკი არა ჰქონოდა კოტლიარესკისთანა

კოტლიარევსკის წასვლის შემდეგ მოვიდნენ იმასთან ოცამდისინ თავადის-შვილები, იულონ ბატონიშვილის ერთგულთაგანნი.

— პასუხს არ მისწერთ იმ წიგნისას, რომელიც მოვიტანე? ჰკითხა კოტლიარევსკიმ.

— ჩვენ რომ ვნახოთ გენერალი ლაზარევი, იმათ უპასუხეს პირდაპირ, ყველაფერს გამოუცხადებდით, მაგრამ ეხლაკი ამის აღსრულება არ შეგვიძლიან.

— ეგ ადვილი აღსასრულებელი არის, ტფილისში ჩამოდით: უთხრა კოტლიარევსკიმ.

თავადისშვილები თანახმანი არ შეიქმნენ ამაზედ.

დავით ბატონიშვილი მართლა მემკვიდრეთ არის დამტკიცებული? ჰკითხეს იმათ.

— სწორეთ, მე რომ იულონ ბატონიშვლს ღრამატის

პირი მოეართვეი განა იმამი ვერა ნახავთ, უპასუხა კოტ-ლიარევსკიმა.

— ჩვენ იმას მემკვიდრეთ ვერ შევიწყნარებთ, ამიტომ რომ ისევ განსვენებულის ირაკლი მეფის დროს იულონისათვს დავიფიცეთ; და თუ ხელმწიფე იმპერატორი ინებებს, რომ არც ერთი ამათში მეფედ არ იყოს, ამაზედ ჩუენ თანმხმანი ვართ და უკანასკნელს ცუარს ჩუენს სისხლისაც მისის დიდებულებისათვს დავღვრით.

ამ დროს გამომავლობაში, ბატონისშვილებმა დედოფალს დარიას წიგნი მისწერეს და იმან პასუხათ მოსწერა თავისს შვილებსა, რომ კახეთში ჯარები გაგზავნეთო.

ტფილისშიკი შემდეგ რჩევისა და ბაასისა თავადისშვილებმა საღმრთო და საერო ხალხმა ასე გარდაწყვიტეს, რომ ავალისშვილი და ფალავანდისშვილი უკანვე გაეგზავნათ პეტერბურღში და ერთის ხმით გამოეცხადებინათ სრული იმათი სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობაში ყოფნისა.

ლაზარევის სახლში შეიყარნენ საღმრთო პირნი, თავა-დისშვილები და ტფილისის მცხოვრებლები. აქ იმათ ხელი მოაწერეს მადლობის ღრამატაზედ იმპერატორ პავლე პირველთან.

ლაზარევმა 16 იანვარს 1801 წ. მოახსენა კნორინღსა, ყველას სახელზედ ეტყობოდათ მადლობა და სიხარული და ხელის მოწერის სურვილი, ასეთი რიგი ჰქონდათ, რომ ზოგნი იმ ღამესაც მოდიოდნენ და იხვეწებოდნენ დაბეჭ-

დილი პაკეთი გახსენო და ღრამატაზედ ჩუჱნც ხელი მოუ-გვაწერინეო. კახეთის ციხის მოურავი თავადი ანდრონიკას-შვილი აქათ იყო და მოისვლა რომ არ შეიძლო იმ შეყ-რილობაში, თავისი ბეჭედი რწმუნებითი გამოუგზავნა ლა-ზარევსა და სთხოვა, ჩემ მაგიერად ეს ბეჭედი ღრამატას დაასვით თქუჱნაო.

18 იანვარს ელჩები წავიდნენ ტფილისიდამ პეტერბუ-რღში და 7 თებერვალს გამგზავრდნენ მოზდოკის მხრივ.

ამ ელჩებს თან მიჰქონდათ მადლობა თავადისშვილებისა, სამღვდელოებისა, ვაჭრებისა და სხვა საზოგადოებისა და ერთ-გულების მოხსენება, იმისათვის, რომ საქართველო მიიღო ქვეშევრდომობაში და მფარველობაში და ტფილისში, რომელნიც ყიზილბაშები სცხოვრებდნენ მისწერეს, რომ გვსურს რუსეთის იმპერატორის უმაღლესის საფარველს ქვეშ ყოფნაო და მზათა ვართ იმ სახით ვემსახურნეთო, რო-გორც ჭეშმარიტნი ქვეშევრდომნიო,

დავით ბატონისშვილმა მისწერა: მივიღე თხოვნა იმპერა-ტორი პავლე პირველისაო, შესაბამის პატივისცემით მოვი-ხარე თავი, მივეცი ერთხელ საყოველთაოთ ჩემი თავი და სამეფო ჩემი თქვენს ქვეშევრდომობაში და უმაღლესის თქუჱნის ტახტის მემკვიდრეთა, სრულებით ისრეთ როგორაც გთხოვდათ მშობელი ჩემი,"

იმავ წამს რომ მიიღო ღრამატა იმპერატორის პავლესი გიორგი მეფესთან საქართველოს რუსეთთან შეერთებისა

დავით ბატონიშვილმა გამოსცა სახალხოთ განცხადება, რომ დიდის დიდებით აიღებს სამკვიდრო, საქართველოს ტახტის განგებლობასა, მიუტევებს დამნაშავეთ და ამას იქით დამნაშავეს დასჯის რუსეთის კანონით.

დავითმა მისწერა ხალხსა, რომ იმას „უმაღლესი ბრძანება ჰქონდა დიდებით მიახლოებოდა საქართველოს სამეფოს ტახტსა, როგორც მემკვიდრე მისის განგებლის წოდებით,“ და შემდეგ ამისა გაგზავნა წიგნი კნორინგთანა, ტფილისადამ პეტერბურღს გაგზავნილის ელჩების ხელით და სთხოვა რომ ისინი მალე გაევზავნა პეტერბურღშია,“ რომ მიეღო, როგორცა სწერდა — თითონაცა და იმისს სამეფოსაც რუსეთის იმპერატორის მოწყალებაები.“

თუმცა პირველში დავით ბატონიშვილი მმართებლობისაგან განშორებული იყო, მაგრამ ეხლაკი სრულებით ხელში ჩაიგდო. ლაზარევი წინააღმდეგი ველარ უხდებოდა იმას შემდეგ, რაც იმპერატორმა პავლემ 1 მა ღრაფმა როსტოფჩინმა და კნორინგმა მიწერ-მოწერა დაუწყეს იმას, როგორც პირველს პირს საქართველოში. ამ შეცდენამ მრავალი ბოროტება და უწესოება დაბადა,..

ელჩების გაგზავნა პეტერბურღში არა სურდათ ბატონიშვილებსა მეფის გიორგის ძმებსა, რომელნიც ცდილობდნენ რომ საქართველოში არეულება მოეხდინათ და თავიანთ მომხრეს ხალხსაც ეძებდნენ, იულონ ბატონიშვილმა შეკრიბა თავისა საუფლისწულო სოფლებში კარგა

მრავალი დაიარაღებული ხალხი, ვითომ ჯარი იყო და დაუწყო ქართლს აკლება, მეტადრე იმ ხალხს, რომელიც იმის მეფობისათვ'ს არ იფიცავდნენ ანუ ხელს არ აწერდნენ რომ ეხლა იულონს ეკუთვნის მეფობაო. ამ გვარი მოქმედება იულონისა მოსწონდათ იმის ძმებს. ფარნაოზ ბატონისშვლი ათას რიგათ ცდილობდა, რომ თავადისშვილებს იმისის უფროსის ძმის მხარი დაეჭირათ და ბატონისშვლები ვახტანგ და მირიან დუშეთში იდგნენ და არცა რა ვის ქართველს რუსეთში უშვებდნენ, დააყენებდნენ ხოლმე და წიგნებს, ქაღალდებს და ყოველს ფერს წაართმევდნენ და იმათაც საპყრობილეში დაიჭერდნენ ხოლმე.

ოსებს, რომელიც სოფლის მთიულეთის ხეობაში იდგნენ და ვახტანგ ბატონისშვლის საყმონი იყვნენ, უბძანა იმან და იმისის ბრძანებით ხუთი ხიდი მოშალეს და იმათი გზა გაუვალისი გახადეს.

დავით ბატონისშვლმა გაიგო, რომ იმისი ბიძა ალექსანდრე ბატონისშვლი მუშიდამ ყაზახს მოსულიყო ძმებთან მოსალაპარაკებლათა და ის იმას ცდილობდა, როგორმე ხელში მოეგდო ალექსანდრე.

დარია დედოფალმა დაიბარა თავისთან ლაზარევი და იმას შესჩივლა, რომ ბაგრატ ბატონისშვლი კახეთში არისო და ჩემს ხალხს სცარცვამსო და თავადებს ავალისშვლსა და ფალავანდისშვლსა უთხრა, ვნახავთ როგორც რუსეთიდამ უკან დაბრუნდებითო.

ლაზარევმა გამოიძია და ბატონისშვილზედ საჩივარი ტყუილი აღმოჩნდა.

დედოფალმა სთხოვა, რომ სამეფოს ტახტზედ იმისი უფროსი შვილი იულონ დაესოთ და რომ თავისის თხოვნისათვს ძალი მიეცა ლაზარევს მისცა, ტყუილი წიგნი ალექსანდრე ბატონისშვილის მაგიერ დაწერილი, თითონ დედოფლის მწერლისაგან იმისის ბრძანებით გაკეთებული. თითონ ალექსანდრე იწერებოდა რომ ჩემის საქართველოდამ გაქცევის მიზეზი ის იყო, რომ გიორგი დედაჩემს აქებს, წინააღმდეგკი უხდებოდაო და ამასაც სთხოვდა რომ იმისი უფროსი ძმა იულონ დაესოთ მეფეთა.

იულონ და ფარნაოზ ბატონისშვილები ხალხს რომ ძალას ატანდნენ და ძალით აფიცებდნენ, მასთან ვინც იმით მხარეს არ დაიჭერდა, იმისს მამულს სცარცვავდნენ, არც ღირსებას, პატივს არა სცემდნენ. ამ გვარად იმათის ძალადობისაგან პირველი დაისაჯა რუსის არხიეპისკოპოზი.

ლაზარევმა იულონსა სთხოვა, ჯარი დაითხოვე თავიანთს ბინაზედაო და ქართლს ნუ აკლებინებო, მოითმინე და რუსეთის იმპერატორის გარდაწყვეტილებას მოუცადეო.

„გაცნობებთ თქუენა, უპასუხა 20 იანვარს 1801 წ. ბატონისშვილმა რომ ამაზედ უმეტესს მოთმენაში და ცდაში აღარავინ იქნება, როგორც მე ვარ. რადგან რომ წესითა და სჯულით დაუტევებიათ ჩუენთჳს ჩუენს მშობელს შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა და ძმისა საქართველოს მე-

ფობა და საქართველოს ხალხისაგანაც დამტკიცებული მე ვარ, მაგრამ მე ჯერაც არ მიმიღია სწორეთ ეს ღირსება და ამაზედ ვთხოვე ნება მისს იმპერატორების დიდებულებასა და ველი კელმწიფის ნების დართვასა.

„მიბრძანეთ ჯარი რომელიც მყავს, ვითომც აწუხებდეს საქართველოსა და ამისათჳს დავითხოვო. მე ხომ სხვა რამ ჯარი არა მყავს, მხოლოდ საქართველოს თავად აზნაურნი არიან ჩემთანა, მგონია ეს ურიგო არ იყოს; ჩემთან რომ არიან ესენი ჩემს სამშობლოს მამულს როგორ აიკლებენ, და ამკლები ჯარი მე არცა მყავს, თუ თქვენთჳს მაგ სახით ჩაუგონებიათ, ეგ მტრისაგან მოგონებული ჭორი არის.“

იულონმა შემდეგ ამისა, თავადის ამილახვარისშვილის სახლი აიკლო და იმისი ცოლიც ტყვეთ წაიყვანა, იმისათჳს რომ ამ ქალმა იულონისათჳს არ დაიფარა და იმისი ქმარი ტფილისში იყო ღრამატის მოსასმენელად იმპერატორის პავლესი. (ესრე უთქვამს დეკანოზს იოანე ოსიშვილს.) სწორეთ ამ რიგათვე ბატონისშვილების ბრძანებით დაიჭირეს და ბორკილები შეუყარეს თავადის თუმანისშვილის ცოლსა და თავადის ორბელიანის ცოლის დასა.

ამ გვარად შეწუხებულნი და გაცარცულნი შემწეობასა სთხოვდნენ ხან დავით ბატონიშვილს, ხან ლაზარევსა და ხან კიდევ კნორინგს. ამ უკანასკნელმა სხვა გზა რომ ვერ იპოვნა, შეუთვალა ბატონისშვილებსა, თუ თქვენს ბინაზედ არ წახვალთო, მაგ მეყრილს ხალხს რუსის ჯარით დავ-

ფანტამთო და ვინც ამისი წინააღმდეგი შეიქნებაო და საქართველოს მშვიდობას არ დაიცავსო, იმას მტრულად მოეპყრობითო.

შემდეგ ამისა დაიწყეს სასტიკი გამგებლობა. ვისაც ტყუილი ხმა დაეყარა უნდა დაეჭირათ და იარაღ შესხმული არავის ევლო.

ხმა დავირდა, რომ იულონ მცხეთას აპირებს მისვლასაო და დაგვირჯვინებასაო, ლაზარევმა ამისგამო ორი როტა იქა და სამი როტა, პოლკოვნიკი კარიაგინის ხელქვემოთნი გაგზავნა ქიზიყში, სიღნაღის ციხეში, რომ ომარხან არ დასცემოდა, ამიტომ რომ ის მაშინ ჯარს აგროვებდა. ორი როტა, რომელიც მცხეთას უნდა წასულიყო, დუშეთში გაგზავნეს, ვახტანგ ბატონისშვილის სადგომს ადგილს, იმისათვს რომ თავისუფლათა და უშიშრათა ყოფილიყო კავკასიის ლინიის გზა საქართველოში.

გორელების თხოვნით ერთი როტა იქ გაგზავნეს და დიდის სიხარულით მიიღეს იქაურებმა. მრავალნი ქართველები, ბატონისშვილების შიშით, რომ ხელში არ ჩასცვივნიყვნენ, ქალაქიდამ გასულები იყვნენ და რაკი ეს ჯარი მივიდა ისინიცა ისევ მოვიდნენ.

ხმა დავარდა, რომ მეფის გიორგის ძმები საბაასოთ მარტყოფში აპირებდნენ შეყრასა, ამისათვს ღენერალმაიორი ლულიაკოვი ოთხის როტითა და იოანე ბატონისშვილი გიორგი მეფის ძე ქართველის ჯარით მივიდნენ მარტყოფში.

ღულიაკოვს ჰქონდა ნაბრძანები, გამოეცხადებინა ბატონიშვილებისათვის, რომ წინააღმდეგათ მოქმედებენ· საქართველოში მეფე არ არის და მმართებლობა აქვს ჩაბარებული დავითსა.

მარტყოფში მარტო მირიან ბატონიშვილი იყო, წინადამეს ვახშმათ თურმე ისხდნენ ბატონიშვილები და მაშინ შეიტყეს, იმათ სადევნელათ რუსის ჯარი მიდიოდა იქ მარტყოფში, მაშინვე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები თურმე წამოდგნენ და წავიდნენ.

ბატონიშვილებს ძალიან სწყინდათ, რომ რუსის ჯარი იმათა სდევნიდა, ამაზეთ იჩივლეს კიდეც, რომ შეიტყეს ღულიაკოვის დევნა 20 იანვარს 1801 წ. იულონმა და ვახტანგმა მისწერეს კნორინგსა, იქ იმ მიზეზით მივედითო, რომ სშირად აქეთ იქით დავდივართო არა იმისათვისაო რომ წინააღმდეგი რამ ჰაზრი გვქონდესო, რამდენჯერ ვიჩივლეთ ლაზარევთანაო, მაგრამ ის ჩვენს წიგნებს არა კითხულობსო.

,, ეს რა არის, არ ვიცით ჩვენა. თუ რომ ჩვენს თავს რამ უბედურება არის; რატომ არ გვიცხადებთ, და თუ არა ამ სახით რათ გვექცევით. ჯერ აქამდისინ არც ჩვენა და არც ჩვენ ძმას მეფეს გიორგის არაფერი სამსახური არ გვიჩვენებია დიდის ხელმწიფისათვს. ვგონებ რომ იმას იმოდენი სამსახური არ მიუძღოდეს, რომ ამოდენი ძვირფასი მოწყალებაები მიიღოს და შვ რიგის

მოწყალებითა და მადლობით იყოს მიოებული.. რა არის მიზეზი რომ ჩვენის ძმის მხარეს მაგ რიგი მოწყალება უნდა ჰქონდეს და ჩვენ კი ამ რიგათ გაუბედურებულები უნდა ვიყვნეთ? თუ ისინი ქრისტიანები არიან, ჩვენცა ვართ: თუ ისინი ირაკლი მეფის ჩამომავალნი არიან, მაშ ჩვენ იმისი შვილები ვართ, და ისინი კი შვილის შვილები არიან.„

იულონმა და ვახტანგ ბატონისშვილებმა ღულიაკოვის მისვლას აღარ მოუცადეს და ქიზიყში წავიდნენ. იქ ორი სოფელი დაარბიეს, მერე ფარნაოზ ქართლში წავიდა და მირიან კი აპირებდა რომ იმ ღამესა ყოფილიყო და მერე დუშეთს წასულიყო. ღულიაკოვმა ბევრი ურჩია რომ მირიანს თავი დაენებებინა და იმან რომ არ დაიშალა, მერე იმან ღულიაკოვს, რაც აზნაურები და ხალხი ახლდნენ ჩამოართო.

აქედამ ღულიაკოვი აპირებდა წასულიყო სიღნაღში, სადაც იყვნენ იულონ და ვახტანგ. იქიდამ გაგზანეს ბრძანება რომ იმათ ჯარები მეყრილიყვნენ და მისულიყვნენ იმასთან.

მერე ბატონისშვილები წავიდნენ სოფელს მაჩხანში და შემდეგ გავიდნენ იორსა და მუხრანს დაბრუნდნენ.

შემდეგ იმათის წასვლისა სოფელს მაჩხანში მივიდა ალექსანდრე ბატონისშვილი 500 კაცითა ყაზახელებითა, მაგრამ იმათ როგორც რომ შეიტყეს იულონ და ვახტანგ გაიქცნ-

ენო და რუსისჯარი იმათ დასდევსო, მაშინვე ალექსანდრეს თავი დაანებეს და თავიანთს ბინაზედ დაბრუნდნენ. ბატონის შვილი ოცის ცხენენიანის კაცით, დავით გარეჯის მონასტერში დაიმალა, მერე იქიდან გაიქცა თავისის ძმების კვალზედა, მიუე-წია ამათ მუხრანს აქეთ·

(სხვა, შემდგომ ნომერში იქნება.)

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა  მ ე ო რ ე .

ზალა. პრინცის სასახლეში მდიდარი სახლის მორთულობა. განცს, ძკრფასს ზალაში სძინავს. დივანზედ ორი ლაქია და ორი ეგერი დასტრიალებენ თავზედ. ფ. ლაუბე სხვას მხრიდამ უყურებს მძინარეს. მარჯვნივ დიდი სარკეა. მარცხნივ სდგას საწერი სტოლი ყოველის თვსის კუთნილებით. და იმის უკან ფორტოპიანი

### გ ა მ ო ს ვ ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი.

ფ. ლაუბე და განცი (მძინარე).

ორი ლაქია და ორი ეგერი. 1 ლაქია. — ეხლა ყოველის ფერი მზათ არის; მათ უგანათლებულესობას შეუძლიან მობრძანდეს.

ფ. ლაუბე (ერთს ეგერთაგანს] მუახსენე ჩქარა!.. ხელები ხომ კარგათ დაბანეთ.

2 ლაქია ვეცადენით რამდენიც შეგვეძლო, მაგრამ ცოტა კიდენ აჩნიან.· ძალიანც არ შეიძლებოდა გაგვეხეხა, თორემ გამოილევიძებდა. მაგრამ სხვა და სხვა დასასხმელი დუხები კი არ დაგვიშურებია.

ფ. ლაუბე. მობძანდება მათი უგანათლებულესობა!.

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 2.

იგინივე, პრინცი, ლეიბ ჰაქიმი, სეკრეტარი და კამერ-დირნერი.

პრინცი (შემოვა) ყოველის ფერი მზათ არის!

ფ. ლაუბე. ყოველის ფერი როგორც ნებავდა თქუენს უგანათლებულესობას.

პრინც. გმადლობთ (უყურეებს განც'ს) კარგია, ძალიან კარგია! და, როგორ დასძლიე ეგ ყავახანაში?.

1 ლაქია. პირველად, თქუენო უგანათლებულესობავ, არა სამდა ბევრს ღვინოს, გამოგზვნილს ამათი ბრწყინვალებისაგან სასახლითგან! მაგრამ როცა გავხსენით შამპანსკი და დავიწყეთ სადღეგრძლოების სმა, მაგის მეგობრებისა და საცოლოსი, მაშინ გამომხიარულდა, ბოკალი ბოკალზედ დაცალა... და მაშინ რასაკვირველია ალერ დავიშურეთ ცხარი სასმელებიც, შემდგომ გადმოვიტანეთ სასახლეში და იმასაქეთ, ეგრე წაიქცა როგორც ძნის კონა.

პრინცი. საუცხოვოა! გესმით რა? ვახშამს უკან, შეიყვანეთ სპალნაში, გახადეთ და დააწვეინეთ.. ჩუენ ვეცდებით რომ უფრო კარგათ დავაძინოთ. შემდგომ ჩააცვით, ადრინდელი ისევე ტანისამოსი. რასაკვირველია თქუ-

ენც უნდა გაიხადოთ მორთულება, და იმ საათშივე მიიტანოთ თავის ბებერ დედასთან, მაგრამ ესრე უთხარით იმას რომ, დეითერა ყავახანაში და სახლის პატრონმა აქ გამოეგზავნა თქუ. (ლაუბეს] მართალია თუ არა, რომ ეს სრულებით შეშლის ჭკუისგან?.

ფ. ლაუბე (იცინის) საკვირველი მოგონებაა!

პრინცი. ახლა ყოველიი შეიძლება დაიწყოს — როლი თქუენი უნდა იყოს მტკიცედ. (უჩვენებს განცს:) ამალამ აი თქუენი პრინცი. მე ვარ გრაფი ალტელრო და ვიმყოფები პირველი კამერგერი; ხოლო თქუენ ყველანი უნდა ახლდეთ მაგას სამსახურში. (იცინის) მაგრამ გთხოვთ არ გაიცინოთ..მას შეუძლიან წაახდინოს ყველა ჩუენი ხუმრობა. [კამერდინერს.] ბაზილ.. დაიწყე! (ლაქიებს და ეაგერებს): თქუენ ყველას შეგიძლიანთ დადგეთ აქ, უფრო კარგი სანახავი იქმნება ჩემო საყვარელო ლაუბე, კომედია არა გვქონდა, მაგრამ ჩუენ თითონ შევთხზეთ.

კამერდინერი [უნძრევს მხარს მძინარეს განცს] თქუენო უგანათლებულესობავ! თქუენო უგანათლებულესობავ!.

პრინცი. (იცინის] იქნება მეც ეგრეთ მაღვიძებ?

კამერდინერი (აღვიძებს, და პასუხს უგებს პრინცსა) მომიტევეთ, თქუენო უგანათლებულესობავ, როგორ შეიძლება...

პრინცი. სუს? აღვიძებს.

განცი (იზმორება) რა ამბავია, დედაჯან, განა დროა?

კამერდინერი. [ხელს უჭერს] თქუნო უგანათლებულესობავ, აკი მიბრძანეთ გამაღვიძეო!

განცი. [მწოლიარე] რას ამობობ დედა, რის, უგანათლებულესობა?..პრინცი ხომ არ არის აქ სტუმრათ?.

კამერდინერი. [მხარქვეშ უჭირავს] არ ინებებ თქუენო უგანათლებულესობავ ადგომას?

განცი. (იწევს ცოტათ] კიდევ უგანათლებულესობავ! ვინა ხართ თქუენ? ესე იგი, ვის ელაპარაკებით?

კამერდინერი. თქუენს უგანათლებულესობას, — ჩემს ხელმწიფეს — პრინცს გერმანს.

განცი. (წამოხტება, დაჯდება მდივანზედ და იყურება აქეთ იქით.) ჩუენთან არს ჯვარი პატიოსანი!. სადა ვარ? ეს რას ნიშნავს!..

კამერდინერი. ეგონებ ცუდი სიზმარი ზმანებია თქუენს უგანათლებულესობას?

განცი. სიზმარი?.. (მხარზედ იყურება) თუ ეს ესრეა, მამ ეს ძალიანი სასიამოვნო სიზმარია.. (ისინჯავს ყურებს და აგრეთვე კალთებს ისინჯამს და იჩიჩქნის ცხვირს.] აი, მეტკინა!.. არა, მე არ მძინავს [გასაგონათ დგება.) მიბრძანეთ, უფალნო, ღუთის გულისათჳს მიბრძანეთ, როგორ ჩამოვარდი მე აქა? ვისთანა მაქუს პატივი,.

პრინცი. პრინცო! რა შეგემთხვათ.. ვერა სცნობთ თქუენს ქვეშევრდომთ კაცთა? აი ჩუენ გახლავართ ორი კამერგერი თქუენის უგანათლებულესობისა.. მე გახლავარ

გრაფი ალტელრო.

ფ ლაუზე. მე გრაფი ლაუზე გახლავარ.

ლეიბ ჰაქიმი. მე ვიმყოფები ლეიბ ჰაქიმად თქუენის სასახლისა.

სეკრეტარი. მე გახლავართ ტაინი სეკრეტარი თქუენის უმაღლესობისა.

კამერდინერი. მე გახლავართ უმდაბლესი მონა და კამერდინერი თქუენის უგანათლებულესობასა.

განცი. (გაოცებული შესცქერის მათ და იმეორებს მათგან ნათქვამს რომელსამე სიტყვასა.] მე — ვინლა, მე — ვინლა.. ვინლა ვარ მე?.

პრინცი. უთუოთ, თქუენო უგანათლებულესობავ დღეს იმ გუნებაზედ ბრძანდებით, რომ გვეხუმროთ, და თუ არა ესრეთ, როგორ შესაძლო არის დაივიწყოთ ან ერთ მინუტს, რომ თქუენ ჩუენი უგანათლებულესი პრინცი გერმანი ბრძანდებით.

განცი. როგორ?.. მე პრინცი გერმისი ვარ?..

პრინცი. მაშ სხუა ვინ უნდა ბრძანდებოდეთ!

განცი.. (თავისთვს]. არა, ეს უთუოთ, ერთი სიტყვით ჯადოაზობაა! არა მე ჯადონაქმნარი ვარ! განა მე პრინ.. ბრრ.. თითქმის მოფიქრებაც საოცარია!.. [ბრიყუილად იცინის) ემ.. ემ.. მაგრამ. ცუდი არ არის, თითქმის კარგიცაა. ჩემთვს, ღმერთს ვფიცავ უფრო სასიამოვნოა ვიყო პრინცად, მინამ მეჩექმეთ, [მაღლა] უფალნო! მომიტევეთ.. მაგრამ

ვგონებ, თქუჱნ გსურთ ჩემი მასხარათ აგდება.

პრინცი. ვინ გაბედამს თქუჱნო უგანათლებულესობავ..

განცი. მაშ ეს ამბავი როგორღაც უკანონო ქცევაა!.

პრინცი. განგვიმარტე პრინცო..

განცი. გარწმუნებთ თქუჱნ, რომ მე არა მაქუს პატივი ყოფად უგანათლებულესობისა თქუჱნ პრინცად; მე ვარ უბნელესი არსება. მეჩექმე ვარ. (საზოგადო განცვიფრება.) რას განცვიფრდით?

ლეიბ აქიმი. ღმერთო ჩემო! ვგონებ, გონებითი მდგომარეობა პრინცისა შერყეულა!

განცი. დიახ, დიახ! მე სხუა არაფერი ვარ, მეჩექმე განცის მეტი, მე თითქმის ქალაქში ბევრი საძაგელი, ბიჭიც მიცნობს!.. (უყურებს პრინცსა და ფ ლაუბეს) და მომიტევეთ უფალნო, მგონია თქვენც მიცნობთ.

პრინცი. რა გასაკვრველია, თქუჱნო უგანათლებულესობავ? ჩუჱნ რამდენი წელიწადია თქუჱნს სამსახურში ვიმყოფებით..

განცი. ეგ საკუთარი საბუთი გახლავსთ. ამას წინათ, მგონია წუხელის ბრძანდებოდით ჩემს დუქანში..

პრინცი. (იცინის] თქუჱნს დუქანში?.. დღეს როგორც ვხედავ ძალიან მხიარულათა ბრძანდებით, თქუჱნო უგანათლებულესობავ!..

განცი. მაშ აბა მითხარით სინიდის ქუჱშ, თქუჱნ არ იყავით წუხელ მეჩექმესთან, ესე იგი უბრალო მეჩექმე-

სთან?

პრინცი. დიახ პრინცო! როდესაც, ჩვეულებრივ თქვენ სადილს უკან მოისვენეთ, ჩვენ გიახელით სასეირნოთ ქალაქში, და ამასთანავე, შეველით ერთ ხელოსანთან. როდესაც გრაფმა ლაუზემ ვალბით დასდვა ერთი წყვილი შევერკა ჩექმების, იქ ვნახეთ ჩვენ ახალგაზდა კაცი და იმისი ბებერი დედა.

განცი. აი, ხედავ, ხედავთ! ის მე ვიყავი აი და დედა ჩემი.

პრინცი. თქვენ, ერთის სიტყვით მასხარათ გვიგდებთ, თქვენო უგანათლებულესობავ?

განცი. მერე როგორ მოგეწონა ის ყოჩაღი ბიჭი!

პრინცი. კაი პატიოსანია, მხიარულია.

განცი. დიახ დიახ! მე ვარ, მე!

პრინცი. ცოტათკი ტუტუცია.

განცი. როგორ თუ ტუტუცი?

ფ. ლაუზე. მაგრამ მარდი, ყოჩაღი კია?

განცი. მოითმინეთ!. მგონია რომ თითონ იმან გაგაცილათ ყავახანამდინ

ფ. ლაუზე. დიახ ეგრე გახლავსთ, ის გაუშვი მე იქ ძალიან მხიარულ კამპანიაში.. მაგრამ საიდან მოხსენდა თქვენს უგანათლებულესობას?

განცი. მე ვიცი, ის იქ წააქეზეს და დაალევინეს სადღეგრძელოდ კი არა, სასიკვდილოდ.

პრინცი. მიუწდომელია, საიდგან შეიძელით მეტყობა ყოვლისა ამის როდესაც მღვეანიდამ არ აზრძანებულხარ.

ფ. ლაუბე. როდესაც მობრუნდით აქა, მაშინ გნახეთ თქუენ ისევე მძინარე; ეს რასაკვირველია?..

განცი. [მხარეზედ და უფრო საზოგადოებისაკენ.) მართლად გასაკვირველია?.. ესეც იმ გვარი ისტორიაა, რომელზედაც წაეიკითხეთ მე და დედა ჩემა.. აი რა მოხვდა სპარსეთში: ჯადობაზობა, გარდასახლება სულისა.. მივხვდი! ჩემი სული ჩამჯდარა პრინცის გვამში და იმისი სული გადმოსახლებულა ჩემს ცოდვილის სხეულში.. ოჰ, პრინცი მოგეზაშია!.. მაგრამ გავგზავნი ჩემის ნივთების მოსატანათა იქ, ბიჭებო ეი! რაქვიან? (შეშინდება, წაავლებს ლაქიას და მოწიწებით ეუბნება) შენიჭირიმე, თქუენ მიდით ყავახანაში და უთხარით მეჩექმეს განცს, რომ ამ საათში აქ მოვიდეს ჩემთან....იქნება იმას კიდევა სძინავს..[ადრინდელის ხმით) არაფერია...გაალვიძე, არც ეგრეთი დიდი ბატონია.

1 ლაქია. მაქუს პატივი მოგახსენოთ, რომ არ შეიძლება, გიახლოთ,—მკვდარსავით ძევს მთვრალი, მე თითონ ვნახე.

პრინცი. და ყავახანის პატრონმა გაგზავნა თავის ბებერ დედასთან.

განცი. აი. აი! ეს რა ამბავია!. პრინცის წესით?

პრინცი. არა, როგორც მეჩექმე.

განცი. ოხ, ღმერთო ჩემო!

განცი. აკი ის თითონ პრინციპ!

პრინცი. არა მეჩექმეა.

განცი. მე!

პრინცი. არა, ის!

განცი. რისთის წაიყვანეს ის დედასთან?

პრინცი. ის წაყვანილია მეჩექმის დედასთან.

განცი. არა! რასაკვირველია! არ მინდა პრინცობა! სულო! ჩემითგან დაიკარგე! დაიკარგე!

ლეიბ ჰაქიმი [მოსჭიდებს ხელს) მოითმინეთ, თქუენო უგანათლებულესობავ.

განცი. ამას რაღა უნდა?.

ლეიბ ჰაქიმი.

პრინცო! მომიტევეთ მე აქამდინ. ჩუმათ ვიყავ, მეგონა რომ გასაოცარი სიტყვები თქუენი, წარმოსდგებოდა არეულბის სიზმარისაგან; გარნა ახლა დავერწმუნე რომელ გონების მდებარეობა თქუენიძალიან მოშლილია და მაჯა იმისთანის თვისებისაა, რომ საჭიროა საჩქაროდ სისხლის გამოშვება. — ეი! მსხურებო!

ლაქიები და ეღერბი მისცვიდებიან და ძალათ დასმენ კრესლაზედ; ლეიბ ჰაქიმი ამოიღებს ჯიბიდგან ნესტარსა].

განცი. ეს რაღა ამბავია? მომიტევეთ, მე კარგათ ვარროგორც თევზი!..[უყურებს გაოცებული ნესტარს). დააგდე, დააგდე ეგ დანა!.. მე არას დროს არ მოგცემ ნებასა რომ გამომიშო სისხლი!..;

ლეიბ ჰაქიმი. თქუენ უნდა მომცეთ ნება გამოშვებისა.

განცი. (გამოსტაცებს ხელსა და ემუქარება.] გამიშვით, ან არა მე თითონ გამოგიშვებ შენ სისხლსა!..

ლეიბ ჰაქიმი. მაშ რადგანაც აგრეა, მე, როგორც ჰაქიმს მაქუს უფლება გიბრძანო!..

განცი. ბარბაროზო! შენ სისხლი გწყურიან, სისხლი გწყურიან!..

ლეიბ ჰაქიმი. მხოლოდ ოცი დრამი პირველად, დაიჭირეთ!

განცი. მომითმინეთ! დოკტურო! გვრიტოჯან! ბიძაჯან! სულოჯან!

ლეიბ ჰაქიმი. კარგი თქუენო უგანათლებულესობავ, მაგრამ ამ პირობით, თუ კიდევ დაამტკიცებ მაგას ან აღმოუშვებ ერთ სიტყვას: მეჩექმე.. მაშინ, მომიტევეთ, მოვიხმარ ძალასა, როგორც მიწერს ჩემი თანამდებობა.

[ანიშნებს ლაქიებს და ისინიც მოეშვებიან.)

განცი. [ადგება და ამბობს თავისთვს.) უჶ!.. მადლობა ღმერთს, ძლივ არ მოვრჩი! როგორ ძნელია პრინცათ გახდომა!.. და მე სულელს რისგან მეშინიან?.. ძალათ ვარდები მეჩექმობაში..

(ჰაქიმი ყურს უგდებს და უკანასკნელ სიტყვაზედ მიუახლოვდება და წაავლებს ხელ.)

განცი. გამიშვით! მე პრინცი ვარ.

ყველანი მშვდობით ბრძანდებოდეს პრინცი გერმანი!

განცი. მე.. მშვიდობით ებრძანდებოდე!. ეს ავათმყოფობისაგან მომივიდა მე, მართლა დამავიწყდა; მაგრამ დოკტურმა.. საკვრველი დოკტურია, მომარჩინა მე. მაშ ეგრე რაღა, უფალნო, მე თქვენი პრინცი ვარ! მე შემოვედი გუშინ საღამოს, ასე არის თუ არა?., და მიზეზი ჩემინ მოსვლისა რა იყო?

პრინცი. ის იყო, რომ მიეგებნეთ უგანათლებულესს სასძლოსა რომელმანცა უნდა გამოიაროს ამ ქალაქზედ.

განცი. მითხარით გრაფო, თქვენ იცნობთ ჩემს საცოლოს.?

პრინცი. როგორ არა. პრინცო! მე გახლდით მუამავალი მაგ საქმეში.

განცი. მაშ როგორია ისა, ეგრეთ ჰმ!.. მშვენიერია?.

პრინცი. მშვენიერია!

განცი. [მხარეზედ) მარგარიტაჯან ახლაკი მშვიდობით! მე დანაშაული არა მაქვს! პოლიტიკა ითხოვს.. დოხტურიცა.. კეთილი მდგომარეობა სახელმწიფოსი.. მერანები მაგრამ რა გაეწყობა სხვა უნდა შევირთო.

პრინცი. კნეინას მობრძანებას იმედი გვაქვს ყოველს მინუტში, და მე გავბედავ მოგახსენოთ, რომ სამკაული თქვენის უგანათლებულესობისა..

განცი. [იხდის ხალათსა] დიახ, თქვენ მართალიხართ! კამერდინერ? რა ჩავიცვა? მოიტა ფრაკი!

კამერდინერი ვარსკვლავიანს გებრძანებთ, თუ?..

განცი. მაშ უვარსკვლაოს, უგუნურო!

[კამერდინერი ჩამოავლებს იმას მხარზედ ლურჯს ლენტსა, დათავისთვის] აი რას ნიშნავს კარგი ფრაკი, ლენტი და ვარსკვლავი!.. ვგრძნობ, რაღასაც თავისუფლობას, დიდკაცობას.. [ისწორებს და იბერება) მე უგუნური, როგორ ვფიქრობდი რომ მეჩექმე ვარ მეთქი.. (თან მოკრთალებით უყურებს დოკტურს) ესე იგი, მე პრინცი არა ვარ მეთქი?.. [ჰაქიმი მიუახლოვდება) დოკტურო! ხელი მომეც, მეორე ხელი, არა ორივე.. თქუენ მე დამაყენეთ ფეხზედ!

სეკრეტარი, [წინ მივა ქალალდებითურთ) თქუენო უგანათლებულესობავ! არ ინებებთ..

განცი. (ზურგშექცეულია] ვინებებ!. ა! ჩემო სეკრეტარო! თქუენ რაღა გნებავსთ?

სეკრეტარი, თქუენ, ხასიეთისამებრ, ვახშმის წინ ინებებთ ხოლმე გარდაწყვეტას და ხელის მოწერას შემოსულის ქაღალდებისას.

განცი. ვახშმის წინა!. დღეს, ჩემო საყვარელო, როგორღაცა აჳგუნებათ ვარ, მუშაობაზედ; მაგრამ ვახშამს კი ვინებებ.

სეკრეტარი. ეს ქაღალდები შეიძლება ხვალისათვის დარჩეს, ხვალაც მოესწრობიან.

განცი. მაშ ეტყობა, უბრალოებია?

სეკრეტარი· ძალიან უბრალოებია: შეწყენისათვის ღარიბთა·

განცი. რა?. რა თქვით?. ხომ იცით რომ მეწყენა, არ

ითმენს მოცდასა ამისთვის, რომ ღარიბი, რომელსაცა უნდა ჭამა არ შეუძლიან მოცდა..და ღარიბს რომელიც მისცემს ჩქარათ შეწევნას, ის მისცემს ორწილათ ბევრსაც, დაიხსოვეთ ესამიეცეთ გაბრთხილდით რომ არ ამისთანა შენიშნვის!

პრინცი. [მხარეზედ.) აი, ბარაქალდი! [განცს.] ეგე ვითარი გრძნობა აძლევს პატივს თქუენს გულს, პრინცო?

განცი. [ლაქიებს.] ეი! მოსწიეთ სტოლს! გრაფო, დაბრძანდით უცერემონიოთ, აქა.. მოვილაპარაკოთ ერთათ საქმეებზედ [სეკრეტარს.] წაიკითხეთ! მაგრამ შემოკლებით, რა საგანზეა?

სეკრეტარი. (არჩევს ქაღალდებს.) საწყალობელი ქვრივი თხოულობს თხუთმეტს ტალერსა, — რომელსაცა ძალიან უჭირს..

განცი. (ჰქექავს.] რასაკვირველია ეჭირება, რადგანაც თხოულობს! შემოკლებით!..

სეკრეტარი. ამასთანვე წარმოუდგენია ჰაკიმის მოწმობა..

განცი. ძალიან საჭიროა!. მიეცით იმას ოცდა ათი თუმანი! მაგრამ უთხარით ჰაკიმს კი ნურას მისცემს. შემდგომ!

სეკრეტარი. მებაღე კუნსტი, შეიწროებული სახლობით..

განცი. ვიცი, ვიცი, ხუთი ყმაწვილი ჰყავს! იმას მიეცეს ოცდახუთი თუმანი! და უთხარით, რომა ყოველს თვეზედ მიი-

ღებს ათ ათ თუმანს ჩემის ხაზინითგან.. მე იმ კაცს, ვიცნობ პირათ.

პრინცი. გავბედავ მოგახსენოთ პრინცო ამის როდის გაუცნობდით?

განცი, აი როდესაც ვიყავ მეჩ..(ჰაქიმი, მდგომარე მასთან მიუახლოვდება, და უჭერს ხელს.) მეჩ...მეჩ..მე ძალიან მოყვარე უკაეილებისა.. გესმით? ნუ მიშლით!. სხვა რაღაა მანდ?

სეკრეტარი. უკანასკნელი ქაღალდი,—ეს არზაა,—აქაური მალისტრატის მწერლისა.

განცი. (წამოხტება.) იმ ავაზაკსაც შემწეობა უნდა? არ მისცეთ!

სეკრეტარი. არა, იმას აქვს საჩივარი ერთ მეჩექმე განცზედ, რომელსაცა მართებს ორმოცდა ათი თუმანი და თხოულობს.

განცი. რომ ვიტვირთო ის ვალი მე? კარგი! (დაჯდება.)

პრინცი. განა თქვენ თანახმა ხდებით რომ მისცეთ იმ ბიჭის მაგიერათ?

განცი. რატომ მითომ?

პრინცი! ეგ ნიშნავს გარყვნა ზარმაცისა.

განცი. ჩვენ'ში გრაფო...მე მაქვს მიზეზი!..ის ყმაწვილი ჩემი ნათესავია..(ჰაქიმი მიუახლოვდება.] დამეხსენით! თქვენ ხომ იცით ბუნებითი ისტორია?. ჩვენ ერთი ძუძუს ნაწოვნი ვართ

და ამისთვის ძმანიც.

მიეცით იმას მაგიერათ ორმოცდა ათი თუმანი, გაუგზავნეთ ოცდა ხუთი ბუტილკა შამპანსკი ჩემის სარდაფითგან და გაუჩინეთ პენსია... დედა იმისი მოხუცებულებაშია, მოჩი! (ადგება და იძახის მხარეზედ] ეს კარგია ყოველ შემთხვევაში. რა ვიცი; იქმნება კიდევ მეჩექმე გავხდე. (მაღლა) არ დაგავიწყდეთ რომ უთუოთ გაუზავნოთ შამპანსკი!

სეკრეტარი. არ ინებებთ ხელის მოწერას?

განცი. ჰმ!. მე უნდა მოვაწერო?..[ხელს ისინჯავს.] ოხ ეს რა მოუვიდა ამ ხელს? ღმერთმანი არ ვიცი...[ჰაქიმი აპირებს ხელის გამოართმევას.) აი, აი, ვინ არის დამნაშავე, რომ მე ვერ შემიძლიან წერა.. შენ წამიხდინე მე ძარღვები.. მაგრამ არა უშავს რა, გრაფო,, მოაწერეთ ჩემ მაგიერ ხელი.

(პრინცი მოაწერს.)

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 3.

იგინივე, ლაქია, შემდგომს მარგარიტა და დედაკაცები.

ლაქიები. (ერთბაშათ შემოვლენ) მათი უგანათლებულესობა, მათი უგანათლებულესობა მობრძანდება!.

(საზოგადო მოძრაობა: ლაქიები ასწორებენ სკამებს და

სტოლებს; კამერდინერი მოუტანს განცს შლიაპას და ფე-რჩატკებს.]

განცი. აბა განცო, ეხლა იყავ ყოჩაღათ აი! უნდა ელაპარაკო პოლიტიკურათ·· უბედური მარგარიტა!.

პრინცი. პრინცო! ინებეთ აჩქარება..·მე მგონია მათი უგანათლებულესობა ამოდის კიბეზედ.

(განცი, შემდგომ პრინცი და ფ ლაუბეც გავლენ·

პრინცი. (გასვლის ჟამს ეუბნება ლაუბეს] ვნახოთ აბა როგორ წარმოადგენს მარგარიტა თავის როლს.

განცი. (შევა მარგარიტა) კგიაჟნა!. მე.. არა მაქუს, ესე იგი მე ვერ ვპოვებ სიტყვასა.. ესე იგი გამოთქმასა.. იმას ესე იგი იმას.. გესმით, არ შემიძლიან აუხსნა თქუენს უგანათლებულესობას გრძნობა, ხოლო ვგრძნობ, მაგრამ როგორ არ ვიგრძნო, რომ გხედავ თქუენ ჩემთან,· ესრეთ ახლოს.. ეს გრძნობითი დავალება თქუენის მხრიდამ..

მარგარიტა. ოჰ როგორ მოსიყვარულე ბრძანებულხართ პრინცო, მაგრამ შომიტევეთ ჩემს მეკრთომაზედ.

განცი. (მხარეზედ.) რა ხმაა?

მარგარიტა (ლაპარაკობს] მე ვერ მოვიფიქრებდი თქუენს ეჩვევდრას ქალაქში.

განცი. [მხარეზედ.] ერთის სიტყვით, მაგარიტას ხმაა!. (მას.) ეს ძლენად მოგართვი რომ ვიახელით მე თითონ (მხარეზედ.) აი ეს ცოტა რიგზედ უთხარი, მადლობა ღმერთსა.

მარგარიტა. (პრინცს.] გრაფ ალტენდორფ! ჩემთვის ძალიან საამოა თქვენი ამ ქალაქში შემთხვევა; მიიღეთ დიდი ბოდიშით თავის დაკვრა ჩემი მშობელთაგან. არვთევ თქვენცა გრაფო ფ. ლაუზე.

პრინცი. ჩვენ გავიგონეთ, რომ კნიაღინია ვითომც შეუძლოთ, ბრძანდებოდეს?

მარგარიტა. აი მიზეზი, მარტო ჩემის მოვლისა.. რო მცოდნოდა მარტო პრინცის მობრძანება, მაშინ მე ვერ მოვიდოდი უდედოთ, მაგრამ ხვალ დილით შემოვა ისიც. რა ამბავია პრინცო თქვენი უგანათლებულესობა რას ფიქრობს?.

განცი [განცვიფრებულია და უკანასკნელ სიტყვაზედ გონს მოვა] მე?. მართლა, მართლა. და როგორ არ დავფიქრდე რომ, თქვენი ხმა გავს ერთის ქალის ხმას, რომელსაც ვიცნობ სიყრმიდან.

მარგარიტა. სიყრმითგან? ჰმ!

განცი. ყოვლის ფერისტანი, ხმა და ყოველი.

მარგარიტა! სახითაც? (და ამდროს მოიხდისა პირბადეს)

განცი (განცვიფრებული) მარგარიტა! ღმერთო! ეს რა ამბავია? შენა ხარ: შენც მოჯადოებული ხარ?

მარგარიტა. პრინცო! რა ამბავია თქვენს თავს?

განცი. [დაცქერდება.] ის არის. ისა. ესე იგი შენა ხარ მარგარიტაჯან! ეგ ხომ შენა ხარ, რაღას მიმალავ!

ლეიბ ჰაქიმი პრინცს. რას შვარებით? მოიგონეთ

უკანასკნელი შემთხვევა..

განცი. [ყურს არ უგდებს] რას მიყურებ, განა ვერა მცნობ? მე ხომ შენი განცი ვარ! აი რა ამბავია? მოუჯადოებიათ, თავისიანებს ვერა სცნობს! მოიგონე სულოჯან, აკი შენ ჩემი მარგარიტა ხარ.

მარგარიტა. პრინცო, გონს მოეგეთ.

ლეიბ ჰაკიმი. თქუენო უგანათლებულესობავ! მე უნდა ვიმოქმედო თანახმად მოცემულისა ჩემდამო თანამდებობისა, ადრინდელი, ავათმყოფობა გიახლდებათ..

[განცი უკანასკნელს დოხტურის სიტყვაზედ შეეშინდება.)

მარგარიტა. ავათმყოფობა? ალტელრო, მე მიყვარს. აქამომდე მაგაზედ რატომ არ მაცნობეთ..

პრინცი. ნება მომეცით, მოგახსენოთ კნეინავ: განცვიფრება პრინცისა ეს არის, რომ ემგზავსება ხმა თქუენი მქაურის ქალისას, რომელმაცა მეც გამაცვიფრეს.

განცი. [ჰაკიმს] გესმით?

მარგარიტა. ვინ არის?

პრინცი. სასახლის სმოტრიტელის ქალი გახლავს.

მარგარიტა. პრინცესა ეკუთვნის იმ სასახლეს! ეგ იძახის თანამეხდილია სიყრმითგანვე და როგორც მაგის ლაპარაკისაგან ეგონეფ ეს როგორლაც ორ ჰაზროვანი უნდა იყოს. [განცს,) თუ რომ სახე ჩემი ეგრეთ ძლიერათ აღგძრამთ ისევე ჩამოვიფარებ, იქნება თქუენ მაშინ დამშვიდდეთ. [ჩამოიფარებს პირბადეს:

პრინცი. (ლაუბეს.) ასეც მშვენიერათ თამაშობს თავის როლს.

განცი [მხარეზედ.] სასწაული უთუოთ, სასწაული!.. ერთის სიტყვით სიზმარი ცხადი თარის.. ამასთანა მზგავსება ორპირთა შორის არ გაგონილა!.. იქმნება იყოს ეს რამ ოინი, მოტყუება?. მამ! მოიცა! მე გავსინჯავ. ამათ ჰგონია სულელი მაპოვეს! კარგი, ენახოთ. (უყვირის) ეი! მოსამსახურეებო! ლაქიებო! დამიძახეთ სმოტრიტლის ქალს, რომ აქ მოვიდეს ამ საათში, ამ მინუტში, ამ სეკუნტში?!.. მე პრინცი, მაგას ვისურვებ, მნებავს, უხმობ, უბრძანებ!.

(ლაქეი გავა.]

პრინცი. [წყნარა ლაუბეს.)

მოახსენეთ, ავათ არის წესს ქვემაგებშია თქო.. (ლაუბე გავა ლეიბ ჰაქიმთან.) ჩუმათ კაცი იყო იქ არ შეიძლება იმის დაბარება.

განცი. სასიამოვნო იქმნება ნახვა.. თუ'რდა ერთ რუნკა არაყზედ დავენ ძლიები. [მხარეზედ.) ტფუ სულელო? [მაღლა.], თუგინდ თავს დავდებ, რომ ის არ მოვა!.

მარგარიტა. მეც ძალიანა მსურს ვნახო ჩემი პარტრეტი და გთხოვთ ამაზედ..

პრიცი. [წყნარა მას.] რას შვრები? ეგ როგორ შეიძლება?.

მარგარიტა. (წყნარავე მას.) დამშვიდდით, მე ეგ მემოხვევა წინათვე დავინახე.

## გამოსვლა 4.

იგინივე და ლაქეი.

თქუენო უგანათლებულესობავ! მარგარიტა ავათ გახლავსთ, წევს ქვეშაგებში და გთხოვთ მოტევებასა, რომ ვერ გიახლათ თქუენთან.

განცი. არ მივილებ მიტევებასა ამ საათში მოვიდეს ან არა და მე თითონ მივალ ამასთან!

მარგარიტა. მომითმინეთ: თქუენი ყოფაქცევა კეთილ-მობილური არ არის, და ღირსებასაც არ გაძლევთ თქუენ. კაცმა ვინც უნდა იყოს არ უნდა დაივიწყოს პატივის ცემა, წინამე დედაკაცთა, თუნდა დაბალი ხარისხისაც იყოს. ნება მომეცით მე თითონ მოვახდინო განკარგულება. [ერთს სასახლის ქალს.] გაისარჯენით, მიდით სმატრიტლის სახლში, და უთხარით იმის ქალს, რომ მე ეთხოვე მობრძანდეს აქა. (ქალები გაველენ.) მე თითონ მსურსვენახო..

პრიანცი, [თავისთვს) მიუწდომელია, როგორ მოვა აქა როდესაც თითონ აქ არის.

მარგარიტა. მაგრამ, უნდა კი ვაჩუქოთ რამ იმას, ის ღარიბია, ავათ არის და ამ ღამეს უნდა მოვიდეს აქა (ერთს

ქალს) სად არის ჩემი ყუთი?

ქალი. თქუენ საწოლშია!

მირგარიტა. სად არის ჩემი მოსასვენებელი?

ქალი. (გააღებს მხარეზედ კარს.) აქ არის თქუენო უგანათლებულესობავ!

მარგარიტა (მიახლოვდება, კარებებს.) ღმერთო ჩემო, როგორი ცხელი აქა!..[ხელცახცით იგერამს.) მატილდა? გაალე ფანჯარები! შენ ხომ იცი, რომ მე ვერ დავძინებ თბილ ოთახში.

(შევა სახლში, იმ საათშივე იქითგან გამოვა სხვა ქალი, სრულებით მისი მგზავსი, აგრეთვე ხელცახოცი ხელში, რა გაშოვა, დაჯდება ფორტოპიანოსთან, უყურებს ნოტებს და უკრავს.)

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 5.

იგინივე, მარგარიტა, და შემდგომ ф. ლაუბე.

განცი. [უყურებს სიხარულით მარგარიტას, და ანზოგზს მხარეზედ] მივარდებოდი მას ყელზედ!

ჰოლეიბ ჰაქიმი (წყნარა განცს.) ღუთის გულისათჳს პრინცო ბრძანდებოდეთ ახლა სიბრთხილით, მოიგონეთ რომ თქუენი უგანათლებულესი საცოლო აქ ბრძანდება.

განცი. [ეგრეთვე წყნარა.) დიახ, დიახ, მართლა.‥ვიქმნები

საბრთხილით .მაგრამ როგორი მგზავსობაა!

[ლაუბე მობრუნდება და წყნარა პრინცს ელაპარაკება.]

პრინცი (წყრნა მ.ს.) მესმის! ოხ, რა გაქნილია!

განცი. [მივა მაგარიტასთან და ნაზათ ელაპარაკება?)

მარგარიტაჯან?. (გონს მოდით.) ოხ, მარგარიტა ახლოს მოდი, ნუ გეშინიან.

მარგარიტა. (შეშინებული მიუახლოვდება განცს, აკოცებს პრინცესას ხელს და ელაპარაკება.] თქუენ გებრძანებინათ მოსულა და გიახელით.

განცი. ჩუენ გონია მცნობნი ვართ, გვინახვია როდისმე?

მარგარიტა. გუშინდელის დღითგან, როდესაც თქუენმან უგანათლებულესობამ ინება მობრძანება.

განცი (მხარეზედ.) რაუშველებელია! ესეც ისეა როგორც სხვანი!. (მარგარიტასა] მაშ შენ მარტო გუშინ მნახე?

მარგარიტა. ადრევაც მინახვიხართ, სატახტოში, როდისაც ვემსახურებოდი გრაფინას. მაშინ თქუენ უნივერსეტეტში ბრძანდებოდით სასწავლებლათ.

განცი. აი მართალი გინდა ეს არის. ბევრი რამ კი ვისწავლე უნევერსიტეტში. ამისათვის სულოჯან მე და პრინცესსა დაგასაჩუქრებთ..რაც გსურთს გეთხოვეთ.

მარგარიტა. გავბედავ განგიმეორო თხოვნა, რომელიც მოვახსენე მისს ბრწყინვალებას გრაფ ალტეგროს.

განცი. აბა, აბა, რა სათხოვარი გაქვს?

პრინცი. მამას არ უნდა მისცეს იმ კაცს, რომელიც მაგას უყვარს.

განცი. როგორი კაცია ისა?

პრინცი. უბრალო მეჩექმეა, მე მიკვირს რა იპოვნა იმაში კარგი? ის თითონ ის არის, რომელიც ამ ორ საათს წინ მთვრალი გააცილეს შინა.

განცი. პირველი ეს რომ, შენ არ გელაპარაკებიან? მეორე ესა გრაფო, რა უქნია იმას შენთვის, რომ ყოველ სიტყვაზედ აძაგებთ იმას, წელან არ მირჩიეთ იმის მაგიერ მიმეცა ვალი. მესამე ესა, მამას უცხო ვინმე ამოურჩევია, მეოთხედ, რომ მე იმაზედ ბევრი კარგი გამიგონია, და მეხუთეც შენ რაღას იტყვი ამაზედ?

მარგარიტა. ტყუილათ მოუხსენებიათ თქვენის უგანათლებულესობისათვს. პირველად, ის კაცია ჩვეულებრივი, მეორეთ დიდის გონებისა არ არის; მესამეთ თითქმის უგუნურიცაა; მეოთხედ ცოტა მთვრალობა იცის, მეხუთედ ამპარტავანია; მეექვსეთ კვეხარაა; მეშვდეთ დაუდგრომელია; მე სარწმუნო ვარ, რომ ეხლა გამოუჩნდეს იმას კარგი საცოლო, თავს დაანებებს.

განცი. [მხარეზედ) აი გველი! (იმას) მაშ რისთვსა გსურს რომ შეირთო იმისთანა კაცი?

(მარგარიტა მიდის და პრინცესას ელაპარაკება.)

განცი. მე დავანებებ თავს რომ სხვა ითხოვოს? მაგრამ

ის სხვა მე თითონა ვარ, მე თითონ. ესე იგი ნახევარი მე. ესე იგი ხორციელათ იქა ვარ, და სულიერათ იქ. დაწყევლილი ჯადობზობა, ხომ ვერაფერს ვერას გაიგებ, მაგრამ მე მსურს ვნახო ისა, ვისაც შეხვდება მარგარიტა. (მაღლა) კარგი სულოჯან, მე თანახმა ვარ შენს თხოვნაზედ, მაგრამ ამ პირობით, რომ ხვალ დილით თქვენ მაშინვე მოხვიდეთ აქა, შენ, მამა შენი და შენი საქმრო, გესმის თუ არა? საქმრო შენი განცი უთუოთ უნდა მოვიდეს! დილით კიდევ მოიცალოს ძალისა!. (მხარეზედ] ჰმ!.. ხვალ მე გაუნაცნობდები ჩემა თავს!. მსურს ვნახო, როგორი ვარ მე?. მგონია კარგიკი ვარ?.. ადრეც ყველას მოვსწონდი.. ვნახოთ! [მარგარიტას) კარგი, მშვიდობით, მშვიდობით!. ახლა მე უნდა დავიწყო საქმე. მზათ არის ვახშამი თუ არა?

(მარგარიტა ნავა; პრინცესა დაუჭერს ხელს და გაიყვანს მეორე ოთახში].

(დაუკვრენ მუზიკას ვახშმისათვის).

აი!. შემაშინეს დაწყევლილებმა!.. ეს რა ამბავია?

პრინცი. ვახშმის ნიშანი გახლავსთ.

განცი. სულელური ჩვეულებაა! მე აი აქა მაქვს [დაიკრავს მუცელზედ) ნიანაი, რომელიც უფრო უკეთ დაუკრავს, აბა მოიტანეთ! (ვერ შეიტყო გასვლა ქალებისა და მიუბრუნდება პრინცესას. [თქვენც პრინცესავ, თქვენთვსაც პრინცესა ნამზგავრი რადგანაც ბრძანდებით არ იქნება ცუდი ესა.. სად წასულა ისა?

პრინცი. თაეის ნ ოსასვენებელში. მაით უგანათლებულე-სობას მგონია სურდა ეჩუქებინა მარგარიტასათვს.

განცი. აბა უფალნო, განახავს თქვენ როდისმე ამის-თანა მგზავსება? ერთის სიტყვით თითქო ორი წყვილი ჩექმაავო.. ესე იგი, როგორც ორი წყვილი წალა!..

პრინცი. საკვირელად მიემზგავსება აქეთ, უმეტესად პირველ შეხედვაზედ.

ფ. ლაუბე, მაგრამ სახე პრინცესასი უფრო ნაზია.

ლეიბ ჰაქიმი. და მათი უგანათლებულესობას სიმაღლით სრულია,

განცი. არა გაგიწყვეთ დავა, მაგრამ მიმგზავსება კი მაკვირებს (მხარეზედ.] მაშინ რაღა ექნება რომ ქორწილს უკან კიდევ ჩავარდე ჩემს ჰაჰკარში. ემმაკს ბევრი რამ შეუძლიან. არაფერი კი არარის, მაგრამ..ისევ დილის შარი სჯობს საღამოს ხეირს, აი ისინიც!

(მარგარიტა შემოვა პრინცესას ტანისამოსით. და რომელსაც ეცვა პრინცესურად ის მარგარიტას ტანისამოსით. უკანასკნელი აკოცებს ხელს პირველისას, უნდა ეცადნონ რომ პუბლიკამ ვერ დაინახონ სახე ტყვილის მარგარიტასი.

მარგარიტა. იყავ გარგათ საყვარელო და სიმშვიდით! [კოცნის შუბლზედ.] მე ვეცდები გავასწორო შენი საქმე [აკტრისა გავა.] ის ძალიან სასიამოვნო ქალია, მაგრამ მე ვერ ვპოვებ, რომ ის ესრეთ გასაკვირველად მგვანდეს მე; ჩვენ ორნივე ვიყურებოდით სარკეში.. (განცს) · საოწმუნო

ვარ თქუენო უგანათლებულესობავ; რომ ახლა დამშვიდდით დამერწმუნებით..

(აიხდის პირბადეს.)

განცი. ყველას, ყველას გერწმუნებით [მხარეზედ.) ეშმაკმა წამიღოს, თუ ეს მარგარიტა არ იყოს! (მაღლა.) თქუენო უგანათლებულესობავ! მე ბედნიერი ვარ.. მე თქუენგან.. ესე იგი ეს სამოთხეა!.. მე ისე მადლობელი ვარ იმ პატივცემულის ჯადოსაგან.,

მარგარიტა. (სიტყვასართმევს.] უნდა მადლობდეთ გრაფ ალტელრესა; მხოლოდ მაგათ შეიძლეს ჩუენი ერთათ შეერთება.

განცი. იცით, როდესაც შევიქმნები თქუენი ქმარი, მაშინ კარგათ ვიცხოვრებთ ერთმანეთთან მე ვიქმნები მარიდის პატივისმცემელი, მაგრამ დროაკი ჭიის მოკვლისა.

[ხელს მისცემს მარგერიტას.]

დასასრული მეორე მოქმედებისა, ფარდა ჩამოეშვება.

## მოქმედება მესამე.

ტეატრი წარმოადგენს სასახლისა პირველის მოქმედებისას.

### გამოსვლა 1.

განცი ჩაცმული ადრინდელ თავის ტანისამოსში სძინავს კრაოტზედ პრინცი და ფ ლაუბე შეელენ.

პრინცი. აბა! შეხედე ერთი და მართლა კიდენ სძინავს.

ფ. ლაუბე. დარწმუნებული ვიყავ რადგან მაგან მომატებული დალია.

პრინცი. მაინც ძალიან მაგრა ყოფილიყო ასე მითხრეს ვითომც თითონ გაეხადოს ტანთ და ეთქოს მოამზადებ ამ დილისათვს საუზმისა.

ფ. ლაუბე. საწყალი! მე ეგონებ როგორ დიდად შეკრთება, რომ გამოიღვიძებს!

პრინცი. მე მსურდა მენახა ამისი გამოღვიძება, ენახოთ რას ილაპარაკებს?..

ფ. ლაუბე. იქნება გუშინდელი სრულებით მიიღოს სიზმრათ.

პრინცი. ო, არა, თქუენც სცდებით რაც მაგას საქმე უყვეს ის რომ ჩემთვს ექნათ, მეც შევიშლებოდი ჭკუიდგან.

ფ. ლაუზე. თქუენს უგანათლებულესობას სურს აქ ბრძანება?

პრინცი. დიახ მაგრამ შემდგომისათვს თქუენ იზრუნეთ.

(ფ. ლაუზე გამოვა.)

გამოსვლა 2.

პრინცი. და გერტრუდა გამოვა თავის ოთახიდგან, ხელში უჭირავს ტყავი.

გეტრუდა ახ! ეს თქუენ გუშინდელნი სტუმარნი ბრძანდებით?..

პრინცი. კიდევ გაგიმარჯოს, ბებია!

გეტრუდა. ეს თქუენთან განლთად ტრაკტირში?

პრინცი. არა ჩემს ამხანაგ კაცთან იყო.

გეტრუდა. იფიქრებთ წუხელის მოიტანეს ჩემთან, მეშეკრმთიგონა შეემთხვა რამე უბედურება მეთ ქი მაგრამ.

პრიცი. მთვრალი იყო.

გეტრუდა არა ნუ იფიქრეთ, რომ განცი ყოფილიყოს, მთვრალი, არა ძალიან კეთილია, ბეჯითია ეს მაგისი პირველი შემთხვევაა, იქმნება ჩავარდა კარგს კაპანიაში და.

პრინცი იქნბა სომდა სასხლის ლაქიებთან, იმათ კი ხუმრობა აუყვას!

გეტრუდა მე ამჯედ ვწუხვარ რომ ტარაკტირის პატრ-

ონს რატომ იქ არ დაუძინებია, ახლა ამ ქუქაში ერთი ყოფა არის რომ განცა მთვრალი მოუტანიათო.

პრინცი· რა უყოთ დაეხსენ ილაპარაკონ, და რადგანაც ჩემი ამხანაგი მაგის მიზეზია, ამისათვს მე უნდა დავსაჩუქრო მაგაზედ. ჰა აილე კეთილო ბებერო! [აძლევს მას ფულსა გეტრუდა არ ართმევს.] ეს დანარჩომია რომელიც უნდა მიგვეცა ჩექმაში, მაგრამ ის ჩუენ აღარ გვინდა·

გეტრუდა· [მიიღებს.] რადგანაც აგრეა, უმორჩილესათ გმადლობთ ბატონო!

განცი [სიზმარში.] მარგა! მარგარიტა! მარგარიტაჯან·ტს! ნუ აიწევი! ნუ აიწევი· საკმაო!

პრინცი, სიზმარში რაღასაც ლაპარაკობს·

გეტრუდა. მაგას ეგ შემთხვევა ყოლთვის ხოლმე·

განცი· მ გარიტაჯან!. ყვავილებს.. მე შენ მოგიგლეჯ. მოგიგლეჯ! შენ იქნები ჩემი, თუნდ იყვე პრინცის··

გერტუდა· ყოველთვის ეზმანება რაღაც დიდრონი კაცები ხოლმე.. აი ეხლა კიდევ ახსენა რაღაც პრინცისა გაიგონე!

განცი. მე თითონ მოჯადოებული პრინცი ვარ!

პრინცი. გახსოვთ, გუშინ რომ ლაპარაკობდა მოჯადოებულ პრინცზედ!

გეტრუდა. როგორ ტყუილებს ილაპარაკებს, ეხლა რომ გაეღვიძებ.. აი ნახავთ!

პრინცი. მე ძალიან მსურდა ყურის გდება ისე, რომ მაგას

კი ვერ დავენახვე:

გერტრუდა. არა არაფერია, თუ გნებავსთ მობრძანდი შკაფს უკან, აი აქ!

პრინცი. ძალიან კარგი იქნება. გაიღვიძე; მაგრამ შენი ჭირიმე საყვედურს ნუ მისცემთ (გავა გვერდ ოთახში.)

გესმით?

## გამოსვლა 3.

### გერტრუდა და განცი.

გერტრუდა. (აღვიძებს განცს.) განც! განც! ადექი! დროა!

განცი. (წამოიხედავს.) საუზმე მზათ არის? [მხარეზედ] ვიი! ეს მე მგონია დედა ჩემია! როგორ ჩამოვარდნილა ამ სასახლეში? ეი? კამერდინერ!

გერტრუდა. გაიღვიძე, გერიტოჯან!.. ადექი. აბა შემომხედე

განცი. (იფშვნეტავს თვალებს.) სად ვარ მე, იქმნება?

განცი. [წამოხტება.] ახ, ეშმაკმა წაიღოს, კიდევ ჩამოვარდი მეჩექმეებში!

გერტრუდა. რას ამბობ, უგუნურო ბიჭო!..

განცი. (ადგება ქვეშაგებითგან და მკვრთომილი დადის) არა! ეს სიმდაბლე, მიქარვაა! აბა რა ტუტუცური ხუმრობა!. მე მაგას ვერ მოვითმენ, ნებას არ მივსცემ! როგორ იცოდეს კაცმა დღეს რა არის და ან ხვალ რა უნდა იყოს!. კაცმა არ უნდა დაიძინოს ღამე, ამისათვის რომ დილით

გამოღვიძებას ეშმაკმა იცის რა გამხდარა: ამისთანა ცხოვრება ერთის სიტყვით მოაბეზრებს! მაგრამ კიდევ ენახოთ!. არ მინდა მეჩექმობა!. მე პრინცი ვარ!.

გერტრუდა, რას როტავ? გონს მოეგე!.

განცი. [გერტრუდას) დამეხსენ დედიდა!. (თავისათვს) როგორ კარგი იყო იქ რომ განვაგებდი და!

გერტრუდა- (მოსდევს უკან.) რაო? მე შენი დედიდა ვარ?..

განცი [მას·] ჩამომეხსენ ბებერო!. [თავისთვს ყველას მიაჩნდი პრინცად არავის არ ეგონა თუ მე მაღალის შთამამავლობისა არა ვარ..

გერტრუდა· ვერა მცნობ შენ მე, თუ?

განცი· [მას) გამეცალე, ნუ ჩამაშეკიდე, დედიდა!

გერტრუდა. კიდევ დედიდა·

განცი· (დადის და თან ლაპარაკობს. როდისაც მე ვსამდი, ვსჭამდი, ვფიქრობდი და ვეარშიყებოდი პრინცესას...და ყველანი, როცა ვმეფობდი, იძახდნენ ეს ახლათ შოსული პრინციო.

გერტრუდა. (დააყენებს მასა] გონს მოეგე!

განცი. (გამოსტაცებს ხელსა) წვრილი ფული არა მაქვს ბებერო![ლაპარაკობს ადრინდელსავით]და ახლა კი უნდა ჩამომაგდონ მე მაღლითგან, სიმდიდრითგან სილარიბეში და თავზედ შამაბან ეს ბებერი!. არა, ძველი ხურობა:! არ მინდა არ მინდა! ნებას არ მიცემ!· (ხედავს რომ გერტრუდა არ ეხსება.]

ღმერთმან მოქცეს, ბებერო!. აი ჩამამეკიდა!.

გერტრუდა. (ტირის) აი რა გიყო სიამპარტავნემ და სიმთვრალემ!. შენ ვერა სცნობ მშობელ დედასა!. ეგ არის მადლობა ჩემის დაცვისა!.

განცი. (ჩაუარდება ფეხქვეშ] დედაჯან! გერტრუდჯან! მაპატიეთ..მე ხომ დანაშაული არა მაქვს, რომ პრინცი ვარ!. (ადგება.) რაღამაც ეშმაკმა მომჯადოვა მე?. ერთი ორ სამ წელიწადს მაინც გამიშვებდა პრინცათ, მაგრამ არა იმწყეულმა, მარტო ტუჩებზედ წამცხო!.

გერტრუდა. (იწმენდს ცრემლებს.) აი რა!. მაშ სიზმარი ყოფილა!. ცხადათ სჩანს რომ შენ გზმანებია, რადგანაც აქამდინ გონს ვერ მოსულხარ!.

განცი. რა სიზმარი რას ანბობ! აი ადრე სპორს არ გაგიწევ მეზმანებოდა ხოლმე დიდი კაცის ქალი, ხან პოლიპის, ხან მაიმუნი..ხან ქურდი, —ძაღლი მაგრამ, დიდი კაცების ქალს, მაიმუნებს, ძაღლებს, ქურდებს მე ვიცოდი რომ ვხედავდი სიზმარში, როგორც აი ახლა ვიცი რომ წარსულის მე ცხადათ ვიყავი პრინცი გერმანი!

გერტრუდა. კარგი, უგუნურო, გონს მოდი!. მოდი აქა ჩემთან გვერდით მოვილაპარაკოთ მაგ ზედ ერთათ და მე დაგიმტკიცებ შენ, რომ ეგ ყოფილა სიზმარი, გუშინ საღამოზედ შენ წახველ ერთ ბატონთან ტარახტირში, ეგრე არის თუ არა?

განცი. ეგრეა! იცით ვინ იყვნენ ის . უფალნი!. კამე-

რ გვრები.

გერტრუდა კარგი საქმით, უმეცარო! ყავახანაში შენ დალიე თუ არა.

განცი. მართალია დავლიე ცოტა პრინცის კაცებთან; ძლიან ცოტა ასე რომ იქავ დამეძინა. აი მაშინ იქ შესრულდა ჯადოებათ ბა? ერთ ბამათ გამოვიღვიძე სასახლეში და ყველანი მარწმუნებდნენ რომ პრინცი ვარო.

გერტრუდა. აი ხედავ ესე სუყოველი ფერი გმანებიათ (განცი აჩვენებს მოუთმენელს.) ყური მიგდე! შენ არაოდეს არ ყოფილხარ სასახლეში ამისათვის რომ შენ ყავახანითგან მოგიყვანეს პირდა პირ აქა და დაგდეს კრაოტზედ.

განცი. [ყურის გდებით] რას ამბობ?. მე არ ვიყავ სასახლეში?. მე მამიტანეს ყავახანითგან!. (მხარეზედ) მოიცა! მესმის! ჩემი სული იქ არის პრინცის სხეულში. — აქ კი ჩემი გვამი პრინცის სულით [მალალ] დედა, გამიგონე: თუ რომ მე არმომიტანეთ სასახლითგან, ეგ მოიტანეს მარტო ჩემი სხეული უსულოთ...ესე იგი სულით..მაგრამ ჩემიკი არა, ამის შემდეგ გესმით?.

გერტრუდა რა მაგის შემდეგ.

განცი ესე იგი ეხლა ვარ მე

გერტრუდა. ოხ რა ეხლა შენ?.

განცი. ეხლა გამოვა რომ, მე ვარ და არა მე.

გერტრუდა როგორ შენ და არა შენ.

განცი. ესე იგი მე თითონ ვარ. მაგრამ არა ვარ მე

თითონ ესე იგი სრულებით არა ვარ მეჩექმე განცი.

გერტრუდა. მაშ სხვა ვინ უნდა იყო?

განცი. მე თუ? ყოველის ამის უკან მე კიდევ პრინცი გერმანი ვარ! მართლაც ასეა!

გერტრუდა. ყოველის ამის უკან შენ ხარ უგუნური, შენ უნდა ჩაქსონ გიჟების სახლში!

განცი. (გაჯავრებით) დედაკაცო! ნუ გამიყვან მოთმინებითგან!. მე ვიშლები!.

გეტრუდა. გიჟო აგრე ეტყვიან დედასა.

განცი. არა, ეხლა გვითხარ, შენ მართლა დედა ჩემი ხარ?. დიახ? დიახ, ამასაც ვკითხავ.

გეტრუდა. [შეშინებული) ღმერთმანიცის, ეს ჭკუითგან შეიშალა.

განცი. ეს კი გადაწყვეტილია, რომ შენი ქმარი, მამაჩემი მეჩექმე, ჩემი მამა არ არის.

გერტრუდა. რაო! რაო! განა შენ მე მწამეფ?.

განცი. (ყურს არ უგდებს.) მე ვგრძნობ, რომ სისხლი პრინცისა მოძრაობს ჩემს ძარღვებში! ხოლო სისხლი მეჩექმისა მოძრაობს სხვა ნაირათ, [დადის დიდგულათ.] და თუ მე არა ვცდები, თუ რომ მართლა მე პრინცი ვარ, დამშვიდდი დედიდა!.. მე გავაკეთებ შენს ბედს, დაგსაჯილდოებ მეფურად. (ხედავს რომ გეტრუდა ტირის.) ოჰ არა! ტფუ!.. მე არ მინდოდა მეთქო; ჩვენ ყოველთვს ვიცხოვრებთ ერთათ, ნუ დაუტევებთ ერთმანერთს, თუმცა მე

პრინცი ვარ, მაგრამ არა მინდა სხვა დედა!..

გეტრუდა. ახ! ნეტარ რაქენა! არ მოვიყვანოთ ჰაქიმი?

განცი. აი! არ მინდა!.. გინდა რომ კიდენ დამიპირონ სისხლის გამოშვება, ამისათვს რომ პრინცათ ვირქმევ ჩემს თავს, როგორც გუშინ კინაღამ გამომიშვეს, როდესაც, ვამტკიცებდი, მეჩექმე ვარ მეთქი.

გეტრუდა. შეიშალა! შეიშალა! წავალ უშოვნი როგორმე წამალსა.. ღმერთმან ინებოს ჯერ ეგება გონს მოეგოს!..

(გავა შუა კარებში.)

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 4.

განცი. [მარტო] ერთი რამ სასწაული მოვიდა ჩემს თავს, მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ წუხელის არ მეძინა და აგრეთვე მთვრალი არ ვიყავ, ამისათვს რომ მახსოვს როგორც ვჭამე ვახშამი, გამოვესალმე პრინცესას, შეველ საწოლში ორის ლაქიათი, გავიხადე, უბრძანე კომერდინერს მომზადება საუზმისა სხვა და სხვა საჭმელებისა და საყვარელის ბლუდებისა, ოთხის დიდროანის ძეხვებისა!

ყველასთან, ყველასთან მშვიდობით! ის მაინც ამხდომოდა, რაც ჩემის მეფობის ჟამს დავამტკიცე: მწერლისთვს უბრძანე მიეცათ ორმოცდა ათი ტალერი; მეჩექმე განცისათვს გვეჩინათ პენცია და თვთეული დღიური საჯილდაო ოცდა ჟუთის ბუთილკის შამპანსკისა.. აი აქამდინ არაფერი ანბა-

ეო არა არისრა.. მართლა იქმნება სიზმარი იყოს ესა?·.
ღმერთმანი მე შევიშლები!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 5.

განცი და გერტრუდა.

გეტრუდა. [ჩქარა შემოვა) აი გასაკვირეელი, მიუწდომელი საგანია! განც! მეგობარო ჩემო! ამ საათში შემომხვდა ჩუცნი მალისტრატის პისერი, რომელსაცა მოჰქონდა შენთან შენგან მიცემული ბარათი ორმოცდა ათის ტალერისა და მითხრა რომ სრულებით ფული მიეილეო.

განცი. (განკვირეებული) იმან მიიღო თავისი ფული?.. ოხ ღმერთო ჩემო!.. მართლა ამბობ მაგას·

გერტრუდა. (აძლევს ქაღალდსა ] აი ბარათიცა·

განცი. (მხიარულათ წამოხტება·] ურა! ურა! ჩუცნიც მოვიდა!·. ახლა გვაკლია პენცია და ოცდა ხუთი ბუთილკა შარფანსკი!.. და თუ რომ იმასაც მიეიღებ, ტრა-ლა-ლა-ლა..
(მოეხვევა დედას ) დედაკაცო! მებამმაკე! მოდი ჩემთან, ახლა ჩუცნ ბედნიერები ვართ ყოველ ცხოვრებაში. უფ! მადლობა ღმერთსა, როგორც მთა ისე მომეშო ზურგითგან,

გერტრუდა· არ ვიცი, რა ვიფიქრო!·· მე ღმერთმან, არ მიმიცია მარგარიტასაგან მოცემული ფული, აქამდისინ მე ის ხანდუკში მაქუს.. ვინ მისცა ჩუცნი ვალი იმ მწე·

რალის?

განცი. ვინა?.. მე თითონ!.. ა? რას იტყვი დედავ?.. მძი-ნავს შე, მაგრამ ყველას ვხედავ სიზმარში?..

გერტრუდა. სად იშოვნე მაგდენი ფული?

განცი. ოცდა ათი ტალერი განა ბევრია? იმ უსაქმოსათვს მე შემეძლო კიდევ მიმეცა ხუთასიც.

გერტრუდა. შენ გუშინ საღამოს იყავ მწერალთან?

განცი. თვალითაც არ მინახავს!

გერტრუდა. მიამბე მე, მაშ ეგ როგორ მოხვდა?

განცი. აი ხედავ, მწერალმა მოსცა არზა შენს შვილზედ,

გერტრუდა. შენზედ?

განცი. შენ შვილ განცზედ.

გერტრუდა. ვინ მისცა?

განცი. რასაკვრველია, მე.

გერტრუდა. ტფუ შენ უგუნურო! იმას როგორ შეეძლო მოეცა არზა შენთვს შენზედვე?

განცი. არა, მე მამცა შენ შვილზედ.. როგორი გაუგონარი ხარ! ესე იგი პრინცს გერმანს მეჩექმე განცზედ.

გერტრუდა. მერე.

განცი. რაღა მერე რამდენჯერუნდა გაგიმეორონ, შენ, რომ მე ვიყავი პრინცი.. ღმერთმანი შენ მე ჭკუიდგან შემშლი!

გერტრუდა. მოდი შენ აჰას ელაპარაკე!

განცი. მე ღამით მაქუს ჩუჩულობა გარდავსწყვიტო

საქმეები; აი გუშინ ჩემი ტაინი სეკრეტარმა, სხუათა ქალალდთა შორის, მომცა მე არზა შენ შვლზედ.

გერტრუდა. აი ამას ეშმაკიც ვერ გაარჩევს!

განცი. მე ძალიან შემეცოდა საწყალი განცი, უმეტესად შენ, ბებერო; აი მე უბძანე მიეცათ ორმოცდა ათი ტალერი ჩემის ხაზინითგან.

გერტრუდა. შენ კიდენ იშლები.

განცი. (ყურს არ უგდებს.) ეს კიდენ ცოტაა, მე შენ გაგიჩინე პენცია. ხედავ, დედიდა, მე შენ შვლზედ ისე ვეცადე, როგორც ჩემთვს.

გერტრუდა. მე თავბრუ მეხვევა.

განცი. [ლაპარაკობს.) ერთი რამე არ მამწონს: ანბობენ შენი შვილი ძალიან სოძსო, ეგ ცუდია!

გერტრუდა. ხომ არ არეულხარ შენ?

განცი. (აგრეთვე.) ყველაზედ ცუდი კიდევ ეს არის, რომ თხოულობს ქალს ჩემის სმატრიტლისას. ტუტუცი რამ არის. განცს ღირსება არა აქუს, მარგარიტა ცუდი არ არის, ის წუხელი იყო ჩემთან და მთხოვა რომ ეგება მამას მიეცა ნება.. კარგი ქალია. (კარებს არახუნებენ.[ ვინა ხართ მანდ? შემოდით!

### გ ა მ ო ს ვ ლ ა 6.

იგინივე და ლაქეი.

ლაქეი. მე მიბრძანეს რომ ეს ქალალდი აქ უნდა მოგცეთ.

განცი. აი ეს! წაიკითხე. ეგრეთ არის! პენცია! (ლაქიას.) უთხარ, ძმაო ჩემ მაგიერ სეკრეტარს, რომ ასე გვიან რათ გზავნის ქაღალდებს; სამ სათს წინ აქ უნდა ყოფილიყო ეს ქაღალდი.

ლაქეი. (მხარეზედ). ე, ე! ეს კიდევ თავის თავს პრინცად ხადის!

გერტრუდა. არ ვიცი რა ვიფიქრო!

განცი. (უჩვენებს ნიშანს ლაქიას.] სხვა ჩემო საყვარელო. რა ამბავია თქვენს სასახლეში? ა?.. რას აკეთებს მეჩექმე.. ესე იგი პრინცი.. დღეს გინახავს შენ? ხომ კარგათ არის?

ლაქეი. [მხარეზედ.) მოიცადე, მე შენ ჩაგაყრი თვალებში! [მაღლა] ისიც როგორ არის კარგათ! მენ თითონ გასინჯე. დღეს საუზმოზედ შეჭამა, ოთხი ძეხვი და რამდენიმე ბლუდი სხვა და სხვა საჭმელები.

განცი. (მხარეზედ.] ოხ, რაზბოინიკი! მე მოვახარშვინე და იმასკი შეუჭამია! (ლაქიას.) შამ არ შეგინიშნავს იმას როგორღაც იმ ნაირი მეჩექმური ხასიათი აქვს?

ლაქეი. დიახ მართალია ჩვენ გუშინ ეგ ყოველისფერი შევნიშნეთ, დღესკი არა. ოხ? აქ კიდევ გამოგზავნეს ოცდა ხუთი ბუთილკა მარპანსკი. (კარებისაკენ] შემოიტანეთ?

გ ა მ ო ს ვ ლ ა 7.

იგინივე და ორი ლაქეი, (კალათებით.]

გერტრუდა. მე ეხლა ვფიქრობ, რომ აქ ჯადობაზობა.

განცი. (ლაქიებს:) დადევით!.. სრულებით არის ოცდა ხუთი?. ა? სწორეთ? კალათებს გამოეგზავენი მერმეთ.. აჰა თქუენ არყის ფული?.. თავი დაუკარით გრაფს!. დედაჯან ქეიფი გასწიე! ეხლა გვაკლია მარტო მარგარიტა.. მე უბრძანე იმას რომ ჩემიანით და თავის მამით მოსულიყო ჩემთან... თუ რომ არ მოუჯადოებიათ. დალიეთ!

გერტრუდა. აი მარგარიტაცა!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 8.

იგინივე და მარგარიტა.

მარგარიტა. [შემოვარდება განცთან.) განც! განც! ახლა ჩუენ ბედნიერები ვართ! მამა თანახმა ხდება ჩუენს ქორწილზედ!

განცი. სუ, სუს, სუ!.. წყნარა! ნუ გაამპარტნავდები. პირველად უნდა დამტკიცებით შეიტყო: ვინა ხართ თქუენ და ვინა ვარ მე?

მარგარიტა. ხა, ხა, ხა!. როგორ? შენ კიდევ გგონია რომ პრინცი ხარ თუ?.. ხა, ხა, ხა!.

განცი. ნუ იცინი.

გეტრუდა. განა მართლა ეს პრინცი ყოფილა?

მარგარიტა, არა! ამაზედ ითამაშეს კომედია; და იმ ნაირათ იყო უვუნური, ყოველივე დაიჯერა.

განცი. რაო?.. რა?..

მარგარიტა. [გაცინებით.) ოხ, დედა, რომ გენახათ განცი, ლენტით და ვარსკვლავით. ხა ხა ხა!. როგორ იბერებოდა.. ხა, ხა, ხა! სიცილით მოკვდებოდით ხა, ხა, ხა!

განცი. ნუ იცინი.

მარგარიტა. (ლაპარაკობს) მე ვიღა ვ იყავი, მე ვიღა? საწყალს, უნდა მეთამაშნა პირინცესას როლი ხა, ხა, ხა, [განც.] ტყუილი არის თუ? საკვირველი მიმგზავსებაა?.. ხა, ხა, ხა?

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 9.

იგინივე და პრინცი, შემდგომ ფ. ლაუბე.

პრინცი. [გამოვა.] შენც საუცხოვოო თამაშობ დი როლს

მარგარიტა. მისი უგანათლებულესობა აქა ბრძანდება?

ყველანი. მისი უგანათლებულესობა?!!!

განცი. (მხარეზედ.] ახლაკი ვიკი, ვინცა ვარ მე.

პრინცი. შენ მე, მალხინე! მე დიდი ხანია ამდენი არ გამიცინია, როგორც გუშინ და დღეს დილით; და რადგანაც შენ ჰფიქრობდი თავის პატივის მოყვარებაზედ, მე გაძლევ შენ სასახლის სმოტრიტლობას, სიმამრი შენი მოგცემს ამ თანამდებობას.

განცი. (კოცნის ხელზედ.)

მარგარიტა. თქუენო უგანათლებულესობავ!... თქუენი მოწყალება უხვია.

პრინცი. თქუენ მაგისი ღირსი ხართ.

განცი. (უჩვენებს ბოკალს.) მოგვიტევეთ, რომ თქუენ გეიხილეთ ესრეთ უწესოთ. — რუმკებით.

პრინცი. თქუენ სომდით ჩემ სადღეგრძელოს, და მე ძალიან მიხარის!.

ფ. ლაუზე. (შემოვა.) თქუენო უგანათლებულესობავ! კურიერი მოვიდა რომ ერთს საათს უკან სტუმრები თქუენი შემოვლენ ქალაქში.

პრინცი. ჩქარა სასახლეში!. მშვიდობით, შეილებო! იქორწინეთ, და პირველი ყმაწვილი თქუენი ჩემგნით მოინათლება. მშვიდობით, დედავ! ლაუზე წავიდეთ!

(პრინცი და ლაუზე გავლენ.)

ყველანი. [ყვირიან] გამარჯობილ იყოს პრინცი გერმანი!

მარგარიტა, აბა ახლა რას იტყევ უგუნურო.

განცი. (აძლევს ბოკალს, დალიე საყვარელო მარგარიტა. (მოეხვევა ყელს. ყველანი სმენ და უხარიანთ.]

ფარდა ჩამოეშვება, — დასრულდა.

## სიმართლე.

ნუ იქადის ის მამულის შვილებას,
ნუცა ერთგულ მოქალაქეთ ცილებას,
ვინცა ამა სოფელს თჳსსა ცხოვრებას,
ჰმონებს ცუდს ანგარების მოყუარებას.
კაცი უნდა ზრახვით მდევნელ სიცბილის,
თუნდ მსხვერპლც გახდეს უმეცრისა სიკვდილის.
მტკიცედ ჰსწამოს სჯული და კანონთათჳს,
უშიშრად ჰსდგეს მარად და ყოველთათჳს.
მებრძოლიყოს ჟამსა დაჭირვებისასა,
მტერად ჰრაცხდეს მტაცებელსა სხვისასა.
ზარსა სცემდეს მსხვერპლსა ავის ქმნისასა,
დაურიდლად პირსა დიდ შემძლისასა.
გარნა ვაჲ მას და უბედურება,
თუმც ამათ იქმს მხოლოდ მედიდურება;
მაშინ მიხვდეს მას მარადი მდურვება
წყევანი და ყოვლის ცუდის სურვება.
ზოგად ჰაზრი აღწონს რა მისთ საქმეთა,
და გამოჩენს ბოროტ მანქად საგმეთა,
მისგან ნაქმართ დასდებს ძირთ სარცხვეელად
და სახსენებელს ნათესავთ საწყეველად.

ნუ იქადის ის მამულს შვილებას,
ნურცა ქრთულთ მოქალაქეთ ცილებას,
ვინცა ამა სოფელს თვისსა ცხოვრებას
ჰმონებს ცუდს ანგარების მოყვარებას.

არამედ იქადოდეს იგი,
ვინც ამპარტავანთ დაუგმო რიგი,
შემძლეთ ებრძვის, არ ანებებს ძალობს
არ ელის და არც თხოულობს წყალობას.

ვისაც დავიწყებიეს ვითარი ექადის ავი
და შეუწირავს მამულისათვის, მსხვერპლად, თავისი თავი.
მწუხდ თუ ეწვევს მედგრად მტარვალთა ნებას,
აზნაურ არს მაშინც, თუნდ ჯ.ქვეითაც ებას.

პატივის დრო იქადოდეს სიმართლით
და მგრძნობელთ შორის გამოჰკრთოდეს სინათლით.

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

## „დროების" გაზეთი და იმისი სიტყვიერება.

როგორც მოქმედებიდგანა სჩანს, ჩვენს საქართველოში, ჟურნალის ანუ გაზეთის გამოცემისა და ვაჭრის შორის მაგდენი განსხვავება არა არისრა. ერთიცა ჰყიდულობს და ჰყიდის, მეორეცა; ერთიც ურევს თავის სავაჭრო საქონელში ყალბს საქონელსა, მეორეცა; ერთიცა ატყუებს მსყიდველს, მეორეცა; როგორაო? იტყვის მკითხველი, აი როგორ? მოვიყვანოთ მაგალითად ღვინის გამსყიდველი, რომელიცა რომ გაასაღოს თავისი ღვინო, რომ გაყიდოს მეტ ფასად, უნდა ან შაქარწყალი გაურიოს, ან კაპლები სხვა და სხვა რა არის სთქვან, პირველი კახური ღვინო არისო; მაგრამ საუბედუროთ გამოდის, რომ არა თუ თავი ღვინო, ნამდვილი, უკანასკნელი კახური ღვინოც არ არის; ასეც ჩვენი ქართული გაზეთი „დროება" არის — დროებაში ჰბეჭდვენ ბევრს ფილოსოფიურს და უფრო მომატებით საპოლიტიკო სტატიებს, რომელთაცა ანელებენ სხვა და სხვა შესანელებლებითა, „ესტეტიკებითა, აბსოლიტებითა, იდეალებითა" და ამ

გვარად ასაღებენ ჩუენზედ;ჩუენც რა გვესმის, რომ გვესმოდეს ღვინის ხელოვნებითი შეზავების შეტყობა, ხომ აღარც ვიყიდდით იქ, იმ დუქანში, სადაც აქამომდე გვიყიდნია: მამასადამე ამ გვარად გაყიდული საქონელი, არის ყალბი საქონელი. ჩუენი რედაკტორები, თუ გამომცემლები, უკარგვენ ჩუენს სიტყვიერებას თავის სინამდვილეს, და ისე აჭრელებულს, სხუა და სხუა უცხო ქუეყნების მასალით შენელებულს მოგვაჩეჩებენ ხოლმე ხელში, გვიბრძანებენ, წაიკითხეო! თუ არ მოვჰკიდებთ კელს და არ წავიკითხამთ, მაშინ მოჰყვებიან და მოგახსენებენ, ვითომც ქართული ენა არ გვიყვარდეს, ვითომც სამშობლოს ენას საზიზღრად უყურებდეთ, — ეს თქმაკი, ჭეშმარიტი თქმაა! რათ მეყვარება სომხურ — ქართული ენა, ერთი მიბძანეთ მკითხუელო ღუთის გულისათჳს? რომელს ყურს იამება, „კაცი მოიტანესო" რომ გეუბნებოდნენ, რომელი იქნება მოიწეროს ის გაზეთი, თუ ჟურნალი, რომელშიაც გარეულია, რუსულიც, ფრანცუზულიც, სომხურიც და სპარსულიც; თუნდა რომ ძალიან გულითაც მინდოდეს შევიტყო, რა ჰაზრებით არის სავსე, რას გავიგებ, როდესაც არ მესმის, შიგ რა სწერია, და რა არის გამოხატული; ერთის სიტყვით, რათ წავიკითხამ იმ გაზეთს, რომელსაცა ეწოდება ქართული გაზეთი, და ქართულს ენაზედკი შიგ არა ძევსრა. — თუ იფიქრებს ზოგი ერთი მკითხველი, რომ ამას სიცრუით ვამბობდე, ამისი დამტკიცება ძრიელ ადვილი გახლავსთ; თუნდა ამ საათშივე,

ხელ და ხელ დაგიმტკიცებთ და იქნება კიდეც შეძრწუნდეთ. აი ჩემო კარგო და კეთილო მკითხველო:

„ახლანდელი იმას არა ანუგეშებდა რა, ყველაფერი მწუხარებას და დარდს უმრავლებდა ..." (დროების მეხუთე ნომერი, 1868 წლისა, გვერდი 4, სტრიქონი 9) მწუხარება ყველამ ვიცით, რომ მწუხარება არის, ეს „დარდი" რომელიღაა? დარდი თათრული ლექსია, რომელიც ნიშნავს მწუხარებას, მამ ეს რაღა უბედურება არის, რომ თუ არ შემოაპარეს უცხო ენის ლექსი, ამ ჩვენმა ახალმა მჩხაბავეებმა, არ შეიძლება. მაშ, თუკი შეიძლება ვსთქვათ, დროების ჭკვით, ქართულად, მწურება და დარდი მაქვსო, განა ისკი არ შეიძლება თათრულის სიტყვის „დარდის" ნაცვლად, ვიხმაროთ რუსული ლექსი, უფრო ქრისტიანული და ვსთქვათ: მწუხარება და გორე მაქვსო. — მაგრამ არა, ღმერთმა გვამოროს. — ასე რომ ვთქვით მაშინ გამოვა „დროების" სიტყვიერება და არა ჩვენი ქართული ენა. — ამის მსგავსად „დროების" ნომრებში ბევრჯელ შეგვხვედრია, „ბედი და იღბალი მამცაო" იღბალი არის თათრული სიტყვა, რომელიცა ნიშნავს ბედს, — „დროება" ასე რომ მოგახსენებთ „ბედი და იღბალი მომცაო" ის გამოდის: ბედი და ბედი მამცაო, „დროების" ჭკვით, თუ ასე თქმა შეიძლება, მაშ უკეთესი არ იქნება, ამ თათრულის სიტყვის „იღბალის" ნაცვლად, ვიხმაროთ, ქრისტიანული სიტყვა „სჩასტიე" და ვთქვათ: „ბედი და სჩასტიე, მამცაო! მაგრამ, ჩვენ, როგორც ქართველნი, ასე არასოდეს არ ვიტყვით, და თუ

მოიტანა სიტყუამ, ლაპარაკში, მაშინ ასე მოგახსენებთ, ჩემო მკითხველო, ნეტავი „ბედი მომცა“ მაგრამ არა, დროება დიდს სწავლიზედ თავსა სდებს და უნდა ეითომც, ჩუენი მოქნილი და შემუშავებული, ჩუენ წინათვე, ქართული მშუენიერი სიტყვიერება, მოქნას, უცხო ქვეყნის ზირაპილპილით, შეიმუშაოს „ესტეტიკებით, აბსოლიუტურად“ და სიკეთე დაგვედას—მაგრამ, დროება ამით უფრო სიკეთეს დაგვედებდა, თუ რომ არ წაგვიხდენდა, მამაპაპათაგან სისხლით დაცულს და სამკვიდროდ გადმოცემულს შესანახავად სამშობლოს ენას, რომელიცა არის სადმრთო კუთენილება ერისა. ახლა, ესა ვთქუათ, ღმერთი შეარჩენს იმ კაცს, რომელიცა ასე შეუპოვრად მოექცევა, კაცის, უპირველეს კუთენილებას? მგონია, არა!

მოდი, ცოტა მრომა გავწიოთ ჩემო მკითხველო და იმ აურაცხელის სიტყვიერების შემოტანითგან, დროებაში, რამდენიმე გამოვწეროთ, ერთ ერთის ნომრითგან, და ეს სიტყუები ქართულად გაუსწოროთ. რატომ არ უნდა გაუსწოროთ? დროებას ვინ მისცა ის უფლება, ერს წაართოს სიტყუები, გადააგდოს და იმის ნაცვლად სხუა შემოიტანოს? ან კიდევ, ქართული სიტყუა გადააკეთოს, უცნაურ სიტყუად? მაგალითად, ავიღოთ, ამ წლის „დროება“ ნომერი 22, მაისის თვისა; იქ მოხსენებულია „ფეიერებერკი“ უნდა შუშხუნა. „გაჭედდა“ უნდა გაიჭედა. იქა სწერია „რუზრუზი“ ეს არ ვიცით, არ გვესმის. რუზრუზი, რომელი ენის ლექ-

სია. ჩუენ ამას ვერ გაუსწორებთ და როგორც ბნელი სიტყუა გახლავსთ, ისე ბნელათვე დარჩეს. — „საყვეოები“ უნდა ყაეახანა.

„მოსამსახურეები, თავს რომ ველარ ართმევდნენ“

რაო? ეს რა თქუა დროებამ? მოსამსახურეები, თავს რომ ველარ ართმევდნენო, ესე იგი: თავს ტანითგან, რომ ველარ აშორებდნენო, ვითომც თუ, ველარა სჭრიდნენ. — ეს მგონია ის გამოდის, მაგრამ არა, მივხვდი რაც უნდა ეთქო დროებას: მოსამსახურეები, სამსახურს რომ ველარ ასდიოდნენო. — ეს კი, გასაგონია. — ახლა სხუაზედა ვსთქვათ. იმავე ნუმრებში სწერია:

„ერთი ორათ უმატებდა ფასს მაჭამადებში“.

რაო? ნუ თუ ბოზბაშიც „მაჭამადია“? შაჭამადს უწოდებენ, ჩუენი გლეხები, ლოლოს შეჭამადს, ლობიოსას, მუხუდოსას, ბაქლისას და სხუას და არა იმ საჭმელებსა, რომელთაცა ხმარობენ ევროპამი.

„ხალხი რაღაც არ მიეგება დიდი სიხარულითა“.

ერი, როგორღაც მხიარულათ ვერ მიეგება.

„ეს მთელი აგებულება, ერთ წუთს განათლდა“

აგებულება, მიეწერება, კაცის აგებულებას, კაცის აგებულება, როგორ განათლდება? ჩუენ არ გვესმის, „დროების“ ჰაზრით, კაცის მუცელშიაც ჩირაღდნები ყოფილა, მაშ როგორ განათლდება, თუ ეს ასე არ იყოს. „სივიწროეც დიდი იყო.“ მეტი ვიწროება იყო.

„ბალი დაიწყო და ორი ათასი კაცი იყო„

ასეც შეიძლება მაშ ვთქვათ: ალუჩა დაიწყო და ორი ათასი კაცი იყო, - ქართულად რომ დაგვეწერა ასე დავწერდით: იმ წვეულებაში ორი ათასი კაცი იმყოფებოდა.

„ემბლემები აჭრელებული ხალიჩით„ — იშალლა„დროების„ თანამშრომელო, რომ ასე ამშვენიერებ ქართულსა ენასა. ჩვენ ამ „ემბლემების„ გარკვევაში ვერ შევალთ, ეს როგორღაც მაღალ ფარდის სიტყვაა! „ნება რთვა„ ნება მისცა: „კათოლიკებში ადათია„ — კათოლიკეებში ჩვეულებაა — იმავე ნომერში დაბეჭდილია. „ქალაქის მცხოვრებლები იყო; ზოგან დაქორწილებული პრინცები„ — რომელი ერთი სთქვას კაცმა და მოთვალოს, ჩვენი საბრალო ენა საქინძნად გახდა ახალის მჩხაბავებისა. სიტყვების შეცლა, ხომ შეცელაა, ეს რაღა უბედურება არის, რომ სომხური ენაც არის. ჩემო მკითხველო, ღვთის გულისათჳს, აღიარე სწორეთ, ეს დროების სიტყვიერება, არ მიემგზავსება, ზოგი რთსა საუბარსა, როდესაც შეიყრებიან და აჭრელებულ ქართულის ენით ლაპარაკობენ „გუშინ ამბარცუმოვს ჰქონდა იოლკა დეტებისათვის„ ან კიდევ: „უეცრად წავიდა, კნიაზი მშვიდობაძე სუხიმ პუტიომზე„ იქნება მკითხველი, კიდევაც არ დარწმუნდეს ჩემს მოხსენებაზედ და ამისთვს ვთხოვ გასინჯოს, მეთორმეტე ნომერი ამ წლისა, რომელშიაც ამავე სომხურის ენით არის მოხსენებული „ყოველი კაცი ეცადოს, ხალხის განათლება და დაწინაურება„ —

საბრალო ქართულო ენავ, საბრალო ქართულო მწიგნობრობავ! ნუ თუ ეს გეწერა, რომ უკანასკნელს ჟამში, შენ მშვენიერ და მდიდარს სიტყვიერებაში უნდა მერეულიყო, ამ ახალის მჩხაბავებისაგან, ამდენი ღვარძლი? ეჰ, რაღა გვეთქმის, ამ ცისკრის ნუმერში ჯერ ესა კმარა, შემდგომს ნუმერში მოვილაპარაკებთ დანარჩენებზედ და ცოტაოდენსაც „მახარობელზე" რომელიცა მწიგნობრობის ღირსებით არც ისა დგას „დროებაზე" მაღლა.

კუდამზიკაძე.

მოწყალეო კელმწ· ფეო

უფალო რედაქტორო!

მოგეხსენებათ, მას მერმეთ, როცა საზოგადოდ გამოვიდა ღუთის და კელმწიფის წყალობა და ძუელი ბატონყმური ცხოვრება მოიშალა, ჩუენი მუახლებანი ხომ ორის წლით კიდევ დავრჩით ჩუენის ბატონების მსახურებაშიდ და რომელნიმე ეხლაცა ვართ, არა კანონის ძალით, არამედ ჩუენის სურვილით და ეს სურვილი რასაკვრეელია იმათა გუაქს, ვინცა შეჩუეულნი ვართ კარგს ბატონყმობას და რომელთ უკეთესს აწ ჩუენ ველარც მოვიძებნით·

რადგან სხუათა შორის მუახლობაც მოიშალა, ამისგამო რომ არ იქმნას დავიწყებული ჩუენი წინანდელი სამსახური, ჩუენ საჭიროდ შევრაცხეთ გაცნობოთ, თუ როგორ იყო მუახლობა? მუახლობა იყოფოდა ხუთ ხარისხად: პირუელი ხარისხი იყო გოგო. ეს ახლად გამოყვანილი 12—16 წლისა, საცოდავი, მოცილებული დედ-მამისა და ოჯახო-

ბისაგან; განჩინებული სამარადისო უქორწინებისადმი (რასაკვირველია შეიძლებოდა და ოდესმე დიდ ხშირადაც, მეტადრე დიდის მებატონისაგან გაეთხოვებინა თავის სამშვდობით და კარგის მზითევითაც. ესეც შესანიშნავი არის, რომ ნამუახლევი ქალი თავის ტოლს კაცზედ უფრო კარგის ოჯახის კაცი თხოვნილობდა) ამისი მოვალეობა იყო სრული მორჩილება და სამსახური უფროსის მუახლებისა, რომელნიც ასწავლიდნენ ღმრთის ლოცვას, ყოფაქცევას, ხასიათს, ყოველ საქალო ხელსაქმეს და ოდესმე კითხვა-წერასაც, და რა განიწრთვებოდა, შეიყვანდნენ მეორე ქალბატონთან სამსახურშიდ და ბოლოს მიეცემოდა სახელი მუახლობისა. მეორე ხარისხი იყო მ უ ა ხ ლ ე, ესე იგი: არა უმცირეს **25-30** წლისა, გამოსული, როგორც ზემო ითქვა, გოგონობისაგან და ბატონის სახლშიდ მსახური მჭრელი, მკერვალი და სხვა რაც ხელოვნება საჭირო იყო. ამათგანს უწარჩინებულესს უბოძებდნენ მედომაკობას ანუ პირის ფარეშობას. მედომაკობა არის მესამე ხარისხი მუახლობისა. იმას აბარია ქუშნაგებზედ სახურავი, მათი კერვა, დაწყება, ბატონისათვის დაგება, აღება, თვითოეულის სტუმრებისათვს შესაფერისა საგებ-სახურავის მირთმევა, თავის დროს მოკითხვა და სიტყვით ყოველისავე დაუკლებლობა და მოვლა. ამას ჰქონდა გამოსარჩენი ის, რომ თუმცა ბატონი გასცემდა რაიმე საგებ სახურავისაგან, სამოლარიოს, ეს მიიღებდა, და ესე ყოველი სიძველეშიდ მოსულიც მისი იყო.

მეოთხე ხარისხი მოახლისა იყო პ ი რ ი ს ფ ა რ ე შ ი. ეს იმისთანა მოახლეა, რომელიც ნიადაგ თავის ქალბატონს ახლდა და მას ებარა საპირის ფარეშო; ტანი და ფეხი, თავის სამკაული და ყოველივე საქალო მორთულობის იარაღი, ეგრეთვე ყოველი კლიტე ქალბატონის კიდობნებისაგან. ამასაც იმ ნაირი შემოსავალი ჰქონდა, როგორც მეღოშაკეს, მაგრამ რადგან ქალბატონებმა (და მეტადრე ბევრმა უხვმა) უფრო ხშირად კაბების და ქათიბების ანუ სხვა სამკაულის გაჩუქება მეტი იცოდნენ, ვინემ ქვეშსაგებსახურავისა, ამისათვის უეჭველია პირის ფარეშს უფრო ბევრი შემოსავალი ჰქონდა. უკანასკნელი მეხუთე ხარისხი არის გამდლობა. გამდელი შემდგომ ქალბატონისა მრთელის ოჯახშიდ არის პირველი პირი და მრთელს მამულშიდაც არა ნაკლებ მოურავისა, ამას ეკუთვნოდა არა თუ მარტო უფროსობა და ზედამხედველობა ყოველთა მოახლეთა, არამედ ხშირად შედიოდა საოჯახო და სამამულო გამგეობის რჩევაშიდ და მრავალთა გონიერთა გამდელთა რჩევასა და ჰაზრსა უფრო ჰქონია გავლენა, ვინემ სხვისა ვისმესას; პირდაპირი მოვალეობა მისი კი ეს უფრო იყო, რომ ხლებოდა ახალ გათხოვილს და ქმრის ოჯახშიდ წაყვანილს მისგან გაზრდილს ყმაწვილს ქალს, ნაცვლად დედისა ჰყოლოდა იგი კელთ მძღვანელად, კარგს და საქებს ყოფაქცევაშიდ, ვინემდის მიაწევდა ის სრულს ჰასაკს და მოწიფებაშიდ. ბევრი კარგი და ეგზომ ბევრი ცუდიც იყო დამოკიდებული გამდლის

ხასიათისა და საქციელზედ, აქედან ვხედავთ რომ პატივიც დიდი ექნებოდა ოჯახში. არ არის დასაფარავი, რომ თუ ქალბატონი კარგი გამოვიდოდა, პატივი გამდლისა აურაცხელი იყო მთელის ოჯახისა და მისის პატრონისაგან და წინააღმდეგ, თუ თავქარიანი და ურიგო გაზდილი ჰყვანდა, მაშინ ვაი მას ცხოვრებას. ხშირად მომხდარა, რომ გამზრდელი თავის გაზრდილის სიმსუბუქობისათვს, უკუღმა ვირზედაც შეუჯდენიათ და საიდამაც მოთრეულა, იქითვე გაუბრუნებიათ, ხოლო კარგი გამდელი, თუმცა თავის შესაფერს პატივს ვერ ნახევდა, თვთანვე მოითხოვდა უკანვე დაბრუნებას, ასე რომ ხშირად ვაჟპატონიც იძულებულ ყოფილა მოეთხოვოს ბოდიში და ეთხოვოს დარჩეს მისს ოჯახში დიდის პატივის აღთქმით. გამდელი იყო ოჯახში უხშირესად ერთი, მაგრამ მეხვდებოდა ყოფილიყო ორიც. ეს მოხდებოდა მის გამო, თუ ვაჟბატონსაც ჰყვანდა თავის გამდელი (ესე იგი გამზრდელი) ამას უფროც პატივი ჰქონდა; მაშინ სამუახლოც ორად განიყოფებოდა: ვაჟბატონის გამდლის და მისთა მოახლეთა, და ქალბატონის გამდლის და მისთა მოახლეთა. დიდი ბედნიერება და ოჯახების სამკაული იყო, თუ ამ ორთ გამდელთ ჰქონდათ ერთმანერთ შორის სიყვარული და თანხმობა, თორემ შენი მტერია, ოჯახში არეულება მოხდებოდა: ვაჟბატონთან რასაკვრველია კადნიერი იყო მისი გამზრდელი და გადუტან-გადმოუტანდა ძვირებს ცოლის გამზრდელ მუახლებისას, და

ოდესმე ქალბატონისასაცა, და აგრეთვე ქალბატონის გამზდელი ვაჟბატონის გამდელ მუახლეების გაჭირებას და თვით ვაჟბატონისასაც, ორთავე თავთავისი მომხრე ჰყვანდათ, სხუა სახლის მსახურნიც უეჭველია ეყოლებოდათ და შენ ი მღვრია, ერთი ალიაქოთი და ვაჲ უშველებელი ალიძროდა ცოლქმართ ბატონთ შორის და მთელს ოჯახში

ყოველი ესე შეეხება დიდრონის ბატონების ოჯახებს, ხოლო მცირე ოჯახში, ერთივე ქალი ვიყავით, გამდელიც, მოახლეც დაგოგოც (მედოშაკე და პირის ფარეში არც იხსენებოდა) როცა კარგს გუნებაზედ იყვნენ, გამდელს გვეძახოდნენ, როცა ვისგანმე ნაწყინარი — მოახლეს, და თუ ცუდს გულზედ, გოგოს. ყოველს ზემო აღწერილს მოვალეობასთან, ვაჲ ჩუჱნს ცოდვას! ხან და ხან კიდევაცა ვმზარეულობდით და ვაცხობდით.

ერთს საუბედურო საქმეს, ანუ საქუჱყნო ალსარებას კიდევ წარმოვსთქუამთ ჩუჱნ საწყლები: უეჭველია ზემოთ შენიშნეთ, რომ ყოველთა მუახლეთ განჩინებული ჰქონდათ სამარადისო უქორწინობა. ამპარტავანად დავიქადდით, რომ უმეტესმა ნაწილმა ჩუჱნგანმა დაიცვეს ეს პირობა და გამოწყვეტილიც იყო ის ტოლსა და ამხანაგში, ვინც გადახდებოდა ამ წმიდა მოვალეობას, როგორც ჩუჱნ მაშინ ვგრძნობდით: მაგრამ ვინ იტყვის, რაოდენ ათასში შეხვდებოდა კაცობრივი შეცთომა საწყალს ქალს, განცდილს სხუა და სხუა მიზეზისაგამო და მაშინ მართლა

ვაჲ მას! თუ ვისმე ზოგიერთაგანს შეემთხვეოდა ეს უბედურება, მაშინ განუკითხველი სამართალი მისი იყო გაჭყრდევა კუნძებში. ეს მოახლეთათჳს ეხლანდელს ციმბირზედ უსაშინელესი იყო. თუ მოახლეს, — ამასაც ისე, მაგრამ შესაძლებელი იყო, ვითარისამე წინანდელის მისის კარგის სამსახურისა და ერთგულებისათჳს ანუ ეპატიებინათ და ანუ გადაეცათ ახლომახლო თავისავე სამშობლომდე, მაგრამ ყოველს შემთხვევაშიდ, განაშორებდნენ ორს და სამს წელს ისეთს მიგდებულს სოფელშიდ, სადაც ნამდვილად ტირილის მეტი ხვედრი მას არ ჰქონდა, რადგან იმ სოფლისა მცხოვრებთაგანიც ცხადად აყენებდნენ არა საკადრის პატივს. უფროსებისათჳს შესაძლო იყო ეპატიებინათ ეს უბედურება იმ მიზეზით, რომ მაშინ იგინი იქნებოდნენ ბატონიშვილების მოვლელნი და გამზრდელნი, მაგრამ ბატონის სახლშიდ ერთს წელს და სახლშიდ ორს ანუ სამს წელს მაინც ვერ შევიდოდნენ და ასრე მიდიოდა ჩუენი ყოველი ცხოვრება, რამდენიმე ასი, თუ ათასი წელი.

ზემო აღწერისაგან რასაკვირველია შენიშნეთ, რომელ დიდი განსხვავება ყოფილა დიდსა და პატარა ოჯახების მოახლეთა შორის, ამაზედ უმეტესი კიდე განსხვავება თვით ჩუენ შორისაც იყო, რადგან რომელიმე რიგიანი და რომელიმე ურიგო ვიყავით და, ამის მზგავსად შორის ჩუენის ქალბატონებისაც. მაგრამ ჩუენი სახელი კი განურჩეველი და საყოველთაო იყო, დიდს ანუ მცირეს ოჯახში კარგს

და ავს მუახლეზედ. ეხლა ეს ჩუენი თხოვნა, სულ ამაზედ გახლავსთ, თუმცა როგორც ზემოთა ვსთქვით, ეხლა ვართ თავისუფალნი, მაგრამ არავის წინანდელი ჩუენი ნათლობის წოდება აღარ მოგვიბრუნდა, არამედ ისევ სამუახლო სახელებს გვეძახიან და უიმედოცა ვართ, რომ ჩუენ სიცოცხლეშიდ გადაგვარქუან, მაგრამ რადგან უკანასკნელნი ამ სახელობისა ჩუენ მხოლოდ დაერჩით და მომავალისათჳს აღარასოდეს მობრუნდება ეს სახელები, ამისგამო გთხოვთ, ამიერიდგან გადასცეთ ხსოვნას, ანუ დაივიწყებას, როგორც რიგი იყოს, შემდეგი ჩუენი სახელები:

ამბრისახარ, ლომისახარ, ლომის-სეული, ცისკარისა, იაგუნდისა, მარგალიტისა, სანდომისა, საროსტანისა, ედემისა, მზე-მთვარისა, ხევარმაგისა, ჯარიმაანათლისახარ; ლერწამისა, თვალშავარდნისა, ლამაზისახარ, ვარდისახარ, გულტკბილისა, ვარსკვლავისა, ჯანვერდი, ანნავერდი, ყარდაშვერდი, მთვარისახარ, პირიმზესი, მონავარდისა, გმირისსეული, დახატულისა, ბროლისახარ, სამოთხის-სეული, იავარდისა, თვალავარდისა, მამისეული, ბატონის-სეული, ბედის-სეული, ბედშომცი, ედემყვავილისა; შაქრისახარ, ვეფხვისეული, საყვარლისსეული, ყიზილჯილა, იმედისსეული, გმირფალავანისსეული, მარჯნისა, საჯარისახარ, გულმარილისა, ბანოვანისახარ, მზენათისა, ლერწამ ტანისა, ნაზისახარ, წყნარისახარ, კელმწიფისეული, დედოფლის-სეული, გულშაქრისა, დალავარდისა, იისახარ, ლალისახარ და სხუა.

ამ ჩუენის სახელებისაგან კარგად იგულისხმებთ, რომელ რა ბედნიერნი ვყოფილვართ იმ ქალბატონებით, რომელთაც ჩუენ ემსახურებივართ და ესე უმეტესი ნაწილიც ეგებ ასე იყოს, მაგრამ გასაფრთხილებლად, ჩუენ დავსძინებთ, რომელ იმდენი სიცოცხლე მოგეცათ, რამოდენად უფრო შესაფერი იქნებოდა ნაცვლად აწინდელის სახელებისა დაერქმიათ ჩუენთჳს: გულმწარისა, ენა მცხარისა, დუხჭირისა, მახინჯისა, ავისახარ, ზანგისახარ, მხთალისეული, ბრიყვისეული და სხუა მსგავსი ამათი.

ამით ჩუენ სრულადცა არ შევეხებით ჩუენთა ტკბილთა და მშუენიერთა ბატონებთა, და თუ ვინმე იკადრებს თავისს თავზედ მიღებას, ის იმათი სრული ნებაა.

თქუენი ულრმესად პატივის-მცემელი, ძუელთაგან ცნობილი თქუენი, ნესტარ დარეჯანის გამდელი:

ა ს მ ა თ.

## 1 8 6 9 წლის

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ, გაგზავნით თუ გაუგზავნელად 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს ამ დრესით:

„ცისკრის“ რედაქციაში ტფილისს.

дозволено цензурою. генваря 1. 1869. რედ. ი. კერესელიძე.